საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 29 იანვარი, 2013 წელი.

№17 (7144)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვეთი სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

შენი კოჰაბიტაცია არ გაიშვა, მიშა!

ექსპრეზიდენტი ნებაყოფლობით იქცა არსებული ხელისუფლების დამხობის მომწოდებლად, მედროშედ, ქუთაისელ ახალგაზრდებს და სრულიად ქუთაისელებს ბარიკადებზე ეპატიჟება. არადა, თან ვითომ კოჰაბიტაციისკენ გაურბის თვალი.

„საინიციატივო ჯგუფის“ მარტვილობა

ვნებათაღელვა ზუგდიდში, პრეზიდენტის რეზიდენციის წინ გაშლილი კარვის გამო

მიშა იმ ბერკეტებსაც კარგავს, რითაც დასავლეთის არწმუნებდა, დემოკრატიის შუქურა ვარო

3

რუსეთი-საქართველოს საზღვარი საღღეღამისო გახდება

8

რაც მეტია კომპენსაცია, მით მეტია პროტესტი

5

მიშამ ნერვები მოიშალა!

6

ყველა პაციენტი ერთი სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს ნამკურნალევი

5

შემუშავდეს გასხვისებული მიწების უკან დაბრუნების სტრატეგია

7

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ინფორმაცია

„ნაციონალ“ პარლამენტარებს აუდიტორია დაუცარიელდათ

პატრიარძის რუსეთში ვიზიტთან დაკავშირებით ორი „ნაციონალი“ პარლამენტარის შეფასება საზოგადოების მცირე ჯგუფის აზრს გამოხატავს, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განაცხადა.

მამა მიქაელ ბოტკოველმა კომენტარი გააკეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების ზურაბ ჯაფარიძისა და სერგო რატიანის განცხადებაზე, რომელშიც პატრიარქის რუსეთის ფედერაციაში ვიზიტია შეფასებული.

მამა მიქაელ ბოტკოველის თქმით, გამოჩნდა ორი პარლამენტარი, რომლებიც პატრიარქის ვიზიტს უარყოფითად აფასებენ, მაგრამ ეს „ნაციონალი“ პარლამენტარების პრობლემაა. პატრიარქის მდივანი ფიქრობს, რომ აღნიშნულ პარლამენტარებს აუდიტორია დაუცარიელდათ და მათ შეფასებებს დიდი მსყიდველი ნაკლებად ეყოლება.

— მათ ქონდათ ამ საკითხების მოგვარების შესაძლებლობა, როდესაც უმრავლესობაში იყვნენ. ქონდათ 9 წელი. პირიქით, ყოფილმა ხელისუფლებამ თავისი ქმედებებით სიტუაცია კრიზისში შეიყვანა. ასე რომ, დღეს ისინი აღარ არიან ხელისუფლებაში და აცალონ უმრავლესობას, — აღნიშნა პატრიარქის მდივანმა.

მისივე განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იმიტომ არიან უმცირესობაში, რომ მათ ხალხის უმრავლესობამ მხარი აღარ დაუჭირა, ანუ მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკა რუსეთთან და სხვა საკითხებთან მიმართებაშიც, როგორც ჩანს, ხალხისთვის მისაღები არ აღმოჩნდა.

— როდესაც ვაფასებთ პატრიარქის წარმატებულ მოგზაურობას რუსეთის ფედერაციაში, ჩვენ არც გვქონია ამბიცია, რომ ეს ყველას მოეწონებოდა. რა თქმა უნდა, იქნებიან ადამიანები, შესაძლოა, ადამიანების ჯგუფიც, რომელსაც ეს არ მოეწონებათ. მაგრამ მინდა, დავამშვიდო ისინი, რომ დღეს უმრავლესობაში არ არიან და მათი შეფასებები ისეთი აქტუალური არ არის, როგორც მანამდე იყო, — დასძინა მამა მიქაელმა.

მისივე თქმით, პატრიარქის ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში და იქ უმაღლესი დონის შეხვედრები საზოგადოების დიდი ნაწილისგან აღქმულია როგორც პოზიტივად და მას ორივე ქვეყნისთვის აუცილებლად კარგი შედეგები ექნება.

თეა წულუკიანი: სასამართლო ოპოზიციაშია

არც ჩოჩელი, არც პატარიძე და არც ქელბაქიანი პოლიტიკური ნიშნით დევნილები არ არიან, სასამართლო კი, ხელისუფლების პოლიტიკურ ოპოზიციაშია, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ზემოხსენებული პირების პატიმრობაში ყოფნის შესახებ და ისინი გირაოთი გამოუშვა.

— დღეისათვის სასამართლო არის ხელისუფლების პოლიტიკურ ოპოზიციაში. მას ადრე მსგავსი პოზიცია არ ჰქონდა და გირაოთი ბრალდებულებს არ უშვებდა. არც ჩოჩელი, არც პატარიძე, არც ქელბაქიანი ან სხვა ვინმე არ არიან პოლიტიკური ნიშნით დევნილები, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მან, ასევე, ისაუბრა სასამართლო რეფორმაზე და მოსამართლეებს მოუწოდა, რომ გათავისუფლდნენ და მოემზადონ იმ დიდი ცვლილებებისთვის, რასაც პარლამენტში შესული კანონპროექტი ითვალისწინებს.

— უახლოეს პერიოდში შევხვდებით ვენეციის კომისიას და ავუხსნით, თუ როგორ გავითვალისწინეთ მათი რეკომენდაციები სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით. ეს რეფორმა ჩატარდება და მოსამართლეები გახდებიან დამოუკიდებლები, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ირაკლი ალასანია კოალიციის დატოვებას არ აპირებს

ირაკლი ალასანია კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ წასვლას არ აპირებს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა, ალასანიამ კოალიცია დატოვოს.

ამასთან, როგორც წულუკიანმა განმარტა, კოალიციაში არანაირი განხეთქილება არ არსებობს და ხელისუფლებას აქვს მკვეთრად დასავლური კურსი.

— ჩვენი ამოცანაა, რომ გავხდეთ ნატო-ს წევრი და ჯიუტად და ნაბიჯ-ნაბიჯ ვივლით ამ გზაზე, რომელიც საკმაოდ რთულია. ეს არის ერთადერთი გზა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, — განაცხადა თეა წულუკიანმა და აღნიშნა, რომ ამასთან ერთად ხელისუფლებას სურს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ნებისმიერ მეზობელთან, მათ შორის —- თურქეთთან და მეზობელ რუსეთთან.

— ირაკლი ალასანია არ აპირებს კოალიციის დატოვებას, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ინტერპრესი

◎ კონფლიქტი

„საინიციატივო ჯგუფის“ მარტვილობა

ვნებათაღელვა ზუგდიდში, პრეზიდენტის რეზიდენციის წინ გაშლილი კარვის გამო

საპროტესტო აქციების ეპიცენტრმა ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის ტერიტორიიდან, პრეზიდენტის რეზიდენციის „მეგრული ოდის“ წინ გადაინაცვლა, სადაც კარავია გაშლილი. იქ ძირითადად ამ ოდის გვერდზე ყოფილ პოლიტექნიკუმის კოლეჯში საცხოვრებლად შეჭრილი დევნილების ნაწილი იმყოფება. ისინი პრეზიდენტის გადადგომასთან ერთად საცხოვრებელი ფართის გამოყოფას ითხოვენ, მათ შორის პრეზიდენტის რეზიდენციაშიც.

რეზიდენციის წინ გაშლილი კარვის ძირითადი დანიშნულებაა გააკონტროლონ და არ შეუშვან ვადაგასული მიხეილ სააკაშვილი, სადაც ის, გავრცელებული ვერსიით, გადაბარგებას აპირებს. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა დევნილები ამ რეზიდენციაში შეჭრას და იქ დამკვიდრებას ცდილობენ. თუმცა, არც ამაშია რაიმე სახიფათო და დაუშვებელი, რადგან მიხეილ სააკაშვილმა იქ რუსი გენერლის ჩაბანის ბინადრობის შემდეგ რეზიდენციის გაყიდვის თუ გასაჩუქრების ბრძანებულება გასცა, თუმცა, ისეთი ფასი დაადო, ეს რეზიდენცია ისევ მის განკარგულებაშია, სადაც ორჯერ თუ იქნება ნამყოფი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ქალები საკუთარი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნონა უბილავამ კარავში მყოფი დევნილების დაცვა სცადა, რადგან მას მიაჩნია, რომ დევნილებს პროვოკაციისათვის იყენებენ აქციის ორგანიზატორები. მან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა. მიმართვაში ნათქვამია, რომ დევნილები აქციის მონაწილეებმა შეცდომაში შეიყვანეს, რეზიდენციაში შეჭრისთვის აქეზებენ, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს კონფლიქტის ესკალაცია. ნონა უბილავამ ზუგდიდში მყოფ სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილსაც მიმართა თხოვნით, რომ ხელი შეუშალოს დევნილების შეჭრას პრეზიდენტის რეზიდენციაში. დევნილთა უფლებების და მათი შესაძლო პროვოკაციისაგან დაცვის მიზნით ნონა უბილავამ ე.წ საინიციატივო ჯგუფი შექმნა, რომელიც კარვის აქციის მონაწილეებმა გააპროტესტეს და ნონა უბილავას „პროვოკატორი“ უწოდეს.

კარვის აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, ორგანიზაცია „დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების“ წარმომადგენელმა მანანა გაბელიამ განაცხადა, რომ ნონა უბილავა არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართული და მათ დავალებებს ასრულებს. „ყველაზე მეტად გაჭირვებული ადამიანები არიან დღეს კარავში, მადლობა ზუგდიდის საზოგადოებას კახა მიქაიას ხელმძღვანელობით, რომ დევნილებს შეუქმნა პირობები, შუქი და სითბო. ეს ქალბატონი კი ცდილობს პროვოკაციის მოწყობას. ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციები პირადი კეთილდღეობის მოწყობას ცდილობენ. ჩვენ არ გვიყენებს ვინმე, სწორედ ის არის გამოყენებული მიშას მიერ და მოვითხოვთ, რომ დაიშალოს ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ან ტაიმ-აუტი აიღოს.“ განაცხადა მანანა გაბელიამ.

ნონა უბილავას განცხადებას, რომ დევნილები შეცდომაში შეიყვანეს და მათ აქციის ორგანიზატორები პრეზიდენტის რეზიდენციაში შეჭრისთვის აქეზებენ, აქციის ორგანიზატორმა კახა მიქაიამ იაფფასიანი პროვოკაცია უწოდა. „რეზიდენციაში შეჭრისაგან თავს ვიკავებთ და ეს ნამდვილად ასე იქნება. მიუხედავად იმისა, რომ დევნილები მოითხოვენ, რომ ეს რეზიდენცია გადაეცეს უსახლკაროებსა და დევნილებს. ჩვენ გვინდა, ეს პროცესი მშვიდობიანად მოხდეს.“ აცხადებს კახა მიქაია.

ნონა უბილავა კატეგორიულად უარყოფს მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს. მისი თქმით, ის მხოლოდ დევნილთა ინტერესებიდან გამომდინარე და მათი უფლებების დაცვის მიზნით მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნონა უბილავამ მის მიერ ახლადშექმნილი ე.წ საინიციატივო ჯგუფი დატოვა.“ აღმოჩნდა, რომ არც ჩვენ და არც საზოგადოება არ ვართ მზად ამ თანამშრომლობისათვის, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება ჯგუფის დატოვების შესახებ. ვფიქრობ, მათი საქმიანობა ვერ იქნება პროდუქტიული,“ — აღნიშნა ნონა უბილავამ.

აფხაზეთიდან დევნილთა ე.წ საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა დევნილთა ინტერესების დასაცავად. მათი მთავარი მოთხოვნაა ცვლილებების განხორციელება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებში და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონალურ სამმართველოში და კადრების დაკომპლექტება კონკურსის საფუძველზე.

ლადო ძირია,
ზუგდიდი.

◎ დედაქალაქი

გაფიცული მძღოლების შეხვედრა აკაკი ჯოხაძესთან უშედეგო გამოდგა

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროს აკაკი ჯოხაძისა და მიკროავტობუსების გაფიცული მძღოლების საინიციატივო ჯგუფის შეხვედრა კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა. შეხვედრაზე ყველა ის მოთხოვნა განიხილეს, რაც მძღოლებს ჰქონდათ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს საინიციატივო ჯგუფის წევრმა გოჩა მაქაძემ განუცხადა, რომ თითქმის ვერაფერზე ვერ მოხდა შეთანხმება.

„თითქმით ვერაფერზე ვერ შევჯერდით იქიდან გამომდინარე, რომ აუცილებელია შეხვედრებს ესწრებოდეს მესამე პირი, რომელიც არის „თბილისის მიკროავტობუსი“. ძალიან რთული და მძიმე იქნება ჩვენი მოლაპარაკებები. ტარიფების შემცირებაზე, ტექმომსახურებაზე, სოციალური შეღავათების აღდგენაზე, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. მერიის შეთავაზება ჩვენ უნდა გავაცნოთ იმ მძღოლებს, რომლებიც შენობის გარეთ გველოდებიან, ასევე არ დაგიმალავთ, რომ საუბარი იყო ტენდერის გაუქმებაზეც“, — განაცხადა მაქაძემ.

ამ დროისთვის საინიციატივო ჯგუფის წევრები, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ, მერიასთან მყოფ სხვა გაფიცულ მძღოლებს შეხვედრის დეტალებსა და შედეგებს აცნობენ.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ბარიკადებისკენ მოწოდება

შენი კოჰაბიტაცია არ გაიშვა, მიშა!

ერთი რუსული ფილმი მახსენდება: თეატრის დასი გასტროლებით დაიარება სოფლებში. სპექტაკლში არის სცენა სტალინის მონაწილეობით. მისი როლის შემსრულებელ მსახიობს მთელი მოგზაურობის მანძილზე აცვია გენერალისიმუსის მუნდირი, კოლეგები, შემხვედრი ხალხიც „იოსიფ ვისარიონოვიჩად“ მოიხსენიებს და მსახიობი თანდათან ისე შედის როლში, რომ თავს მართლა სტალინად მიიჩნევს. ეს ამშავი ერთთან ტრაგიკულად მთავრდება. გასტროლების ორგანიზატორი მაფიოზი სილას გააწნავს „თავგასულ ამხ. სტალინს“, მსახიობი მძიმედ განიცდის მომხდარს...

რა თქმა უნდა, ეს რუსული ფილმი ბოროტი ხუმრობაა სტალინზე, მაგრამ შეგონება უტყუარია: არ შეიძლება სხვისი როლის, ნიღბის გათავისება, არ შეიძლება იქცე იმად, ვინც არ ხარ...

და ახლა, როცა მიხეილ სააკაშვილის მოხშირებულ გამოსვლებს ვუყურებ და ვუსმენ, თვალწინ ამ ფილმის „იოსიფ ვისარიონოვიჩი“ წარმომიდგება. რა მონდომებით თამაშობს მიხეილი „ბატონი პრეზიდენტის“ როლს, რა დიდმნიშვნელოვნად იჭმუხნის შუბლს, რა მეფურად აყრის ქოქოლას თავის მთავარ პოლიტიკურ ვიზავის ბიძინა ივანიშვილს, ყველა მარჯვე შემთხვევაში, რა აღმატებულად წარმოგვიჩენს თავს ბრძენ სახელმწიფო მოღვაწედ...

ახლახან, სტრასბურგში მცხოვრებ ქართველ მხატვრებთან შეხვედრისას მიგვანიშნა, ბოლო დროს „ხელისუფლების პოლიტიკაში საგანგაშო ტენდენციები შეინიშნებაო“ და პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ბრალად დასდო, რომ მათს „ტერმინოლოგიაში უკვე სამი თვეა, აღარ ისმის სიტყვა „ოკუპაცია“. ამ დროს სააკაშვილს, რა თქმა უნდა, დაავიწყდა, რომ სწორედ მისი გაუთვლელი მოღვაწეობის, მისი დაუფიქრებელი, მოუზომავი ლაპარაკის შედეგიც არის თვით ოკუპაციაც და მთელი მომდევნო უბედურებაც, რაც ჩვენს თავს დღეს ტრიალებს. „მიშა-მიშას“ სწორედ ისე მოუვიდა, ფინია რომ სპილოს უწკავწკავებს, სპილო კი ყურსაც არ იბარტყუნებს, მაგრამ ბოლოს, ყელში რომ ამოუვა, ერთი გაჰკრავს ხორთუმს და ღობეზე მიაბრტყელებს, არადა, მიბრტყელებული მაინც არ ჩერდება და სხვასაც უწყრება, რატომ შენც ჩემსავით არ ედიდგულებიო.

არადა, რამდენი სიბრძნეა დაგროვილი ხალხში: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“... „დათვი რომ მოგერევა, გაბა დაუძახეო“, „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“... „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო“...

ახლა ახალი ხელისუფლება იმას აკეთებს, რაც ძველმა ვერ (არ) გააკეთა: ეცლება, სადაც გაცლა სჯობს, მომრევ დათვს მართალია მთლად გაბას არ უძახის, მაგრამ ყოველნაირად ცდილობს ბუტე-ბუტედან დიალოგზე გადავიდეს, ღონეს ხერხი დაუპირისპიროს და გაჭრამდე შვიდჯერ გაზომოს... საბოლოოდ რა გამოვა ამ შეცვლილი კურსიდან, რამდენად დაუბრკოლებლად შევა საქართველოს ანძებგადამსხვრეული ხომალდი ნავსადგურში, ძნელი სათქმელია, მაგრამ რაც მთავარია, ძველისგან განსხვავებით, ცდები არის.

თურმე ნუ იტყვი, სააკაშვილის „დიდი გაოცება“ გამოუწვევია პრემიერ-მინისტრის განცხადებას ერევანში, რომ ქვეყანას შეიძლება ერთნაირად კარგი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან და ნატოსთან, რაც პრემიერმა განაცხადა, სამწუხაროდ, ცვლის ყველაფერს, რაც ჩვენ აქამდე გვითქვამსო“, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე გამოსვლისას „გააჟღერა“.

მადლობა ღმერთს, რომ ახალი ხელისუფლება ყველაფერს ცვლის, რაც აქამდე მ. სააკაშვილს უთქვამს: ყალბი, მიუღებელი, მხოლოდ თავისქება და ტრაბახი, ხალხის ინტერესების უარმყოფელი, მეზობლის განმაქიქებელი, უთუოდ – გამღიზიანებელი და მაგინებელი.

აღიარებს, ხშირად საზოგადოებასთან ჩვენი კომუნიკაცია არ იყო საკმარისიო და თან, სვამს „ჩამჭრელ“ კითხვას: „მაგრამ არის თუ არა გამართლებული დღეს სტალინის ძეგლის დაბრუნება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება?“

პირდაპირ დასმულ კითხვას პასუხიც პირდაპირი უნდა გაეცეს: გამართლებული არ იყო იმ ძეგლის აღება, ახლა კი მის დაბრუნებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

სტალინის ძეგლს გარკვეული დატვირთვა აქვს, თუ ჭიპმოჭრილი „დემოკრატები“ არ ამიხირდებიან, ეროვნულიც კი. ყველაფერს თავი დავანებოთ, ტურისტების გორში ჩასატყუებლად მაინც გამოდგება. სტალინი ეპოქალური მოვლენა იყო, მრისხანე, სასტიკი, პირქუში ეპოქისა, რომელმაც მილიონობით სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ მისი ხსოვნის ამოძირკვა ასე, ძეგლების ქურდულად, ღამის სიბნელეს შეფარებულად მოთხრით, არ ხდება.

სამარყანდში ნანახი მაქვს გურ-ემირი – აზიის დიდი დამპყრობლის თემურ ლენგის მავზოლეუმი. სხვათა შორის, ზღვა დამთვალიერებელს შორის ინდოელებიც შევნიშნე, რომელთა წინაპრები მან განსაკუთრებულად უმოწყალოდ გაჟუჟა. ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ სასტიკი დამპყრობლის განსასვენებელს. იქნებ შიშით, სიძულვილით, მაგრამ – დიდი ინტერესით. ცნობილია, გამოჩენილი ინდოელი მოღვაწე, პრემიერ-მინისტრი ჯავახარლალ ნერუ, გურ-ემირს სპეციალურად ესტუმრა. მაგრამ, როცა უზბეკმა გიდმა სიამაყით განუცხადა, თემურმა ერთ დღეში 100 ათასი ინდოელის მოკვეთილი თავისგან პირამიდა ააგოო, ნერუ თოფნაკრავივით გავარდა გარეთ. ასეა, გააჩნია როგორ მიაწვდი მნახველს – მხოლოდ 1930-იანი წლების რეპრესიების შემოქმედად თუ უდიდესი მსოფლიო ომის გამარჯვებულადაც.

ყველაფრის მიუხედავად, ყოფილი პრეზიდენტი „იმედს გამოთქვამს“, რომ ახალ მთავრობასთან... კოჰაბიტაცია მაინც შედგება.

იცოცხლეთ, კარგი იყოს, მაგრამ როგორ, რა გზით? აკი ორიოდ წუთით ადრე მიშა მწვავედ აკრიტიკებდა პრემიერს და დაბეჯითებით აცხადებდა, „კოჰაბიტაციის პროცესი საფრთხის ქვეშ დგასო“?

დიახაც დგას!

იდგება, მაშ რა იქნება, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ხალხს, მათ შორის ქუთაისელ სტუდენტებს ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციური გამოსვლებისკენ მოუწოდებს: თუ ჩვენ არ გვინდა პარლამენტის ისევ თბილისში დაბრუნება, „ყველამ ხმა უნდა ამოვიღოთ. მიმდინარეობს დეპუტატების შანტაჟი, ფულის გადახდა... როგორც ყოველთვის, ახალგაზრდობამ უნდა ამოიღოს ხმა, იმიტომ, რომ თქვენ გართმევენ ხვალინდელ დღეს(?), მე არაფერს არ ვაზვიადებ და არ გაშინებთ. კულტურის ცენტრი სწორედ ქუთაისში უნდა იყოს! თუ მაგრად დავდგებით, ვერაფერსაც ვერ წაგართმევენ და ჩვენ უნდა დავდგეთ! ის, რასაც პრემიერი აპირებს, არის საქართველოს ნახევრის კატასტროფული გაუარესება ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული თვალსაზრისით და ყველანაირი განვითარების პერსპექტიული კუთხით. მინდა, მოგიწოდოთ – იყავით აქტიურები!“

ერთი სიტყვით, ექსპრეზიდენტი ნემაყოფლობით იქცა არსებული ხელისუფლების დამხობის მომწოდებლად, მედროშედ, ქუთაისელ ახალგაზრდებს და სრულიად ქუთაისელებს ბარიკადებზე ეპატიჟება. არადა, თან ვითომ კოჰაბიტაციისკენ გაურბის თვალი.

შენი კოჰაბიტაცია არ გაიშვა, მიშა!

ალეკო ასლანიშვილი

◎ რა დაგვანახვა სტრასბურგმა

მიშა იმ ბერკეტებსაც კარგავს, რითაც დასავლეთის არწმუნებდა, დემოკრატიის შუქურა ვარო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დავოსში ვიზიტის დასრულებისას აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო შვეიცარიის პრეზიდენტთან შეხვედრა, სადაც, როგორც ორმხრივ ურთიერთობაზე, ისე შვეიცარიის, როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის მედიატორის როლზე ისაუბრეს. რაც შეეხება უშუალოდ დავოსში ვიზიტს, პრემიერი მას ნაყოფიერად აფასებს.

„ვფიქრობ, ძალიან ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ბევრი შეხვედრა მქონდა. მაქსიმალურად გამოვიყენე დრო. მოვახერხე პოლიტიკურიც და ეკონომიკური ბიზნეს-შეხვედრებიც. გპირდებით, რომ მთავრობაში ჩვენი მოსვლის მეორე წელი იქნება კარგი, მესამე იქნება ძალიან კარგი, მეოთხეზე კი ჭეშმარიტად უნდა ვიგრძნოთ, რომ შეიცვალა სიტუაცია. დღეს ამას ვერ ვიგრძნობთ, მაგრამ ძალიან კარგი საფუძველი ჩავუყარეთ იმას, რომ ინვესტიციები რეალურად შემოვიდეს და პოლიტიკოსებმაც გაიგონ, როგორი ხელისუფლება მოვიდა. მოვიდა სამართლიანი და ევროპული ტიპის ხელისუფლება. აი, ეს პრეტენზია გვაქვს ჩვენ და ამას ვაჩვენებთ საქართველოსაც და მსოფლიოსაც“, – აღნიშნა პრემიერმა.

სამაგიეროდ, პრემიერის დავოსში ვიზიტით უკმაყოფილო დარჩა ქვეყნის პრეზიდენტი, ეკონომიკური ფორუმის დასრულებას სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა და პრემიერ-მინისტრი რუსეთის რიტორიკის ერთი-ერთზე გამეორებაში დაადანაშაულა.

„დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში რუსეთის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე „ამაყად ყვებოდა“ (ივანიშვილი), რომ მსოფლიო რეიტინგებში საქართველოს მე-9 ადგილი, როდესაც რუსეთის 139-ე ადგილზეა, ტყუილი და სააკაშვილის მიერ ხელოვნურად მოგონილია. ამას იგი ამბობს დიდი ღიმილით და ძალიან ბედნიერად, რომ მსოფლიოს ინვესტორებს შეატყობინა სიმართლე, აცნობა, როგორ მოვატყუეთ მსოფლიო თურმე, რომ საქართველოში კარგია ინვესტიციების ჩადება. თურმე იმას, რომ საქართველოს ეკონომიკა უნდა განვითარდეს, სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას, ხალხს ხელი უნდა გავუმართოთ, რომ ფული უნდა შემოვიდეს, ტურიზმი უნდა განვითარდეს, მშენებლობა უნდა იყოს, ახალი ობიექტები უნდა გაჩნდეს, საფუძველი არ ჰქონია.

ქვეყნის მთავრობის ლიდერი უნდა დადიოდეს უცხოეთში და ამას ჰყვებოდეს?! ეს უნდა იყოს გზავნილი მსოფლიო ინვესტორებისადმი, რომ ეს ყველაფერი ბლეფია და დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ ამ ქვეყანაში ფულის ჩადებას აზრი არ აქვს?! ეს დასკვნა იქნება, ბუნებრივია, როცა ასე ესაუბრები მსოფლიო ინვესტორებს. მე, ალბათ, უკვე აღარაფერი მესმის ამქვეყნად“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე კი თვლის, რომ სააკაშვილს ეს ტყუილები ერთი, კონკრეტული მიზნის შესასრულებლად სჭირდება და რაც ივანიშვილმა დავოსში თქვა, სხვა კონტექსტის მატარებელი იყო.

ექსპერტების განმარტებით, თუ ივანიშვილმა ისაუბრა იმაზე, რომ ქართული საინვესტიციო გარემო არ იყო მიმზიდველი, მაგრამ ყველაფერს გააკეთებენ, რომ მომავალში ასე არ იყოს და ინვესტორებს ჯანსაღი, სტაბილური გარემო შეუქმნან, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის იმიჯის შემლახავი განცხადებები გაკეთდა. თუმცა, მათივე შეფასებით, რასაც რეალურად შეეძლო ქვეყნის იმიჯის შელახვა, ეს რამდენიმე დღის წინ სააკაშვილის მიერ სტრასბურგში გაკეთებული განცხადებებია.

მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინათ სტრასბურგში, ევროსაბჭოს ტრიბუნიდან ისაუბრა იმაზე, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. მისი ძალიან დიდი გაოცება გამოიწვია პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, რომელიც მან ერევანში ვიზიტის დროს გააკეთა. სააკაშვილის განცხადებით, **„ერთია, როდესაც უმჯობესდება ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ მეორეა, როდესაც ნარჩუნდება ქვეყნის ძირითადი მისწრაფებები. „მე ვფიქრობ, რომ ქართველ ხალხს ხმა არ მიუცია ამ ძირითადი გზის შეცვლისკენ“,** – აღნიშნა სააკაშვილმა.

რაც შეეხება საშინაო საქმეებს, სააკაშვილის შეფასებით, აქაც ძალიან ცუდად არის საქმე. **„საქართველოს პოლიტიკური ძალები ძველი მენტალობით არიან შებოჭილები, ადგილობრივი მმართველობა და დღევანდელი პარლამენტის ოპოზიციის წევრები ხშირად მმართველი პარტიის მიერ შანტაჟის მსხვერპლი ხდებიან. ახალი ხელისუფლება ძალიან ხშირად უმცირესობის ნებისმიერ აქტივობას პოლიტიკურ ელფერს აძლევს და ხშირად თავდასხმებიც ხდება... ახალი პრემიერ-მინისტრი საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელს თანამდებობიდან გადადგომას აიძულებს და მას „მეცხრე არხთან“ აერთიანებს, რომელიც მისი ოჯახის მფლობელობაშია“.**

იხ. 4 გვ.

◎ ინფორმაცია

საპატიმროები უკვე 3 849-მა ამნისტირებულმა პატიმარმა დატოვა

ბოლო მონაცემებით, საპატიმროები უკვე 3 849-მა ამნისტირებულმა პატიმარმა დატოვა. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, 25 იანვრიდან 27 იანვრის პერიოდში, ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლდა 939.

– 2013 წლის 27 იანვრის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები დატოვა სულ 3 849 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 133-მა მდედრობითი სქესის სრულწლოვანმა და 3-მა მამრობითი სქესის არასრულწლოვანმა, – აცხადებენ სამინისტროში.

სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის ინფორმაციით, ჯამში საპატიმროებს 5 ათასზე მეტი პატიმარი დატოვებს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რა დაგვანახვა სტრასბურგმა

მიშა იმ ბერკეტებსაც კარგავს, რითაც დასავლეთს არწმუნებდა, დემოკრატიის შუქურა ვარო

(მესამე გვერდიდან) საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლამდე კი პრეზიდენტმა მედიის საშუალებით მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ: **„დღეს აქ მე ვარ საქართველოს პარლამენტის იმ წევრებთან ერთად, რომლებიც იმყოფებიან ყოველდღიური ზეწოლის, შანტაჟის და, პირდაპირ რომ ვთქვათ, ტერორის ქვეშ, სხვა არაფერი არ ჰქვია ამ ყველაფერს, სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, რომ ისინი გადავიდნენ ერთი ფრაქციიდან მეორეში, ხმა მისცენ სრულიად დამანგრეველ, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებს. რა თქმა უნდა, ის, რაც აქ ხდება, არის ჩვენი შიდა საქმეების ნაწილი. საქართველო ახლა არის რთულ პერიოდში“.**

ის სურათი, რაც მიხეილ სააკაშვილმა დახატა, ტერორი, რეპრესიები, ეკონომიკური სტაგნაცია, არც ერთი ინვესტორისთვის არ არის მიმზიდველი, მის განცხადებებში ყველა კომპონენტი იყო გათვალისწინებული იმისათვის, რომ საქართველო ერთ-ერთ ყველაზე მაღალი რისკის ქვეყნად შეფასდეს.

ვახტანგ ძაბირაძის შეფასებით, სააკაშვილმა ევროსაბჭოში თქვა, რომ მისი ხელისუფლებიდან წასვლის მერე ქვეყანაში ცუდი მდგომარეობა შეიქმნა, არასტაბილურობა, პოლიტიკური დევნა და ა.შ.

„რაც ივანიშვილს მიაწერა, რომ საქართველოს იმიჯის შემლახავი განცხადებები აკეთა, ეს სწორედ თვითონ გააკეთა, თანაც არა რამდენიმე წლის წინანდელ, არამედ დღევანდელ საქართველოზე, თანაც, თქვა ხვალ და ზეგ უარესი იქნებაო“, — აცხადებს ძაბირაძე.

ექსპერტი კახა კახიშვილი თვლის, რომ თუ ივანიშვილმა ისაუბრა წარსულზე და ასევე აღნიშნა, რომ ყველანაირად ხელს შეუწყობს, რომ ინვესტიციები, რომელიც მომავალში ჩაიდება საქართველოში, მყარ, სტაბილურ გარემოში მოხვდება, წილების გადაცემით არ დამთავრდება, ნებისმიერი ინვესტიცია, ეს ინვესტორებისთვის პირიქით, გარანტიებს ნიშნავს.

„ძალიან კარგად ვიცით, რომ აქ ინვესტიციები იდებოდა მაშინ, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები მწვანე შუქს აგინთებდნენ და ეს „მწვანეს ანთებაც“ საკმაოდ ძვირი ჯდებოდა და კომპანიის ნახევარზე მეტ წილში ან სხვა თანხაში გამოიხატებოდა. თუ ივანიშვილმა ისაუბრა იმაზე, რომ მსგავსი რამ მომავალში აღარ იქნება, ეს პირიქით, ინვესტორებს მოიზიდავს“, — აცხადებს კახიშვილი.

მისივე განმარტებით, სტრასბურგში სააკაშვილმა პრაქტიკულად, მოუწოდა ყველას, რომ მომავალში არავინ არ გაბედოს და არ ჩადოს საქართველოში ინვესტიცია, რადგან ამ გამოსვლით დაანგრია ქვეყნის იმიჯი.

„ერთია, რომ, რაც ივანიშვილმა თქვა, ის რეალობაა, ხოლო მეორე — რაც სააკაშვილმა განაცხადა, ტყუილი და ამით ყველანაირად მოჭრა ქვეყანას თავი. ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნაწყენია ქვეყნის მოსახლეობაზე და სამაგიეროს იმით უხდის, რომ ყველა ბერკეტით, ყველა ტრიბუნით, სადაც იწვევენ და არ იწვევენ, პრობლემა შეუქმნას ქვეყანას, რომ საბოლოოდ ისე გამოვიდეს, როგორც ერთ ცნობილ ფრაზაშია ნათქვამი — „არც მე და არც თქვენ“, — ამბობს კახიშვილი.

ვახტანგ ძაბირაძე: **„არ ვიცი, რამდენად სწორად არის ციტირებული ივანიშვილის განცხადება სააკაშვილის მიერ, მაგრამ ნამდვილად ვუსმინე სააკაშვილის გამოსვლას ევროსაბჭოში და შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ძალიან ცუდი გამოსვლა, სააკაშვილის გამოსვლებს შორის. არ ვლაპარაკობ მხოლოდ ევროსაბჭოში გამოსვლებზე. მგონია, რომ სააკაშვილმა საკუთარი პრეზიდენტობა ძალიან ცუდად დაასრულა და რაღაც დროის შემდეგ, როდესაც საკუთარ გამოსვლას მოუსმენს, შეიძლება ამას მიხვდეს კიდეც. შეიძლება ქვეყნის მთავრობა აკრიტიკო, მაგრამ არ შეიძლება ევროსაბჭოს ტრიბუნიდან ილაპარაკო, რომ ყველაფერი უკან მიდის და სადაცაა ქვეყანა დაიქცევა. არ მგონია, ეს სწორი იყოს, როდესაც შენ ხარ ქვეყნის პრეზიდენტი, თუნდაც ოპოზიციის წარმომადგენელი“.**

ქვეყნის იმიჯის შელახვის გარდა, სააკაშვილი ივანიშვილს რუსეთის რიტორიკის გამეორებაშიც ადანაშაულებს.

სააკაშვილის განცხადებით, ის წლების განმავლობაში ცდილობდა, საქართველო მიმზიდველი გამხდარიყო. სპირისპიროს წარმოჩენაზე კი მუდამ რუსეთი მუშაობდა.

„ჩვენი მტრის ინტერესი იყო, ეჩვენებინათ, რომ საქართველო არის არასტაბილური ქვეყანა, რომელიც მხოლოდ პიარზე და ტყუილზეა აგებული. ახლა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამბობს იმავეს, რასაც ჩვენი არაკეთილმოსურნე რუსეთი მთელი ეს წლები.

ერთი-ერთზე ამბობს იმავეს და თანაც, რუსეთის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე. მინდა, ქართულმა საზოგადოებამ გამოიღვიძოს და ამაზე დასკვნები გააკეთოს. იმის მიუხედავად, რას გეუბნებით მე ან მთავრობა, უკვე დროა, თქვენ, როგორც საზოგადოებამ, გააკეთოთ თქვენი შეფასებები, ვიდრე გვიან არ იქნება“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ვახტანგ ძაბირაძის შეფასებით, ამ შემთხვევაში ივანიშვილის რუსეთთან დაკავშირება არავისთვის არაფრის მომტანია არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ.

„თუ ივანიშვილი ტყუილს ამბობს და ქვეყანაში ინვესტიციები შემოდიოდა, მაშინ სააკაშვილმა თქვას, რომ ივანიშვილის განცხადება ტყუილია. მისი რუსეთთან დაკავშირების ლოგიკა ნამდვილად არ მესმის. თუ ივანიშვილს არ მოსწონდა წარსულში ქართული საინვესტიციო გარემო და ამბობს, რომ მომავალში ასე არ იქნება, ეს არის ყურადსაღები და არა ის, რომ თურმე ივანიშვილი და რუსეთი ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ. ნორმალური ადამიანის ლოგიკა არ არის ეს“, — აცხადებს ძაბირაძე.

კახიშვილი ამბობს: **„სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამით, რომ 9 წლის მანძილზე არ უსმენდა საქართველოს მოსახლეობას. რუსეთი კი არ ლაპარაკობდა იმაზე, რომ ბიზნესში კოშმარული პირობებია და ყველა უმაღლესი თანამდებობის პირი ცხვირს ყოფდა ბიზნესში მაშინვე, როგორც კი ამ ბიზნესის ბრუნვა მათ მიერ დადგენილ მინიმუმს ასცილდებოდა. ამაზე საქართველოს მოსახლეობა ლაპარაკობდა და არა რუსეთი. მოდით, ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ გასარკვევია, ვინ რა როლი ითამაშა და ვინ თამაშობს რუსეთის ინტერესებზე, ვიმედოვნებ, რომ ესეც გაირკვევა დროის უმოკლეს ვადაში“,** — აცხადებს კახიშვილი.

მისივე განმარტებით, სააკაშვილს სჩვევია, სხვის მიერ გაკეთებული სიკეთე საკუთარ თავს მიაწეროს, მისი მთავრობის გაფუჭებული საქმეები კი სხვას დააბრალოს.

კახა კახიშვილი: **„სხვათა შორის, ნაცმოძრაობის მმართველობის დროს ისეთი სიტყვით რომ გამოსულიყო ნებისმიერი ადამიანი, რაც სააკაშვილმა სტრასბურგში განაცხადა, მაშინვე ციხეში უკრავდნენ თავს სააკაშვილის სამართალდამცველები, როგორც სამშობლოს მოღალატეს და ჯაშუშს. ისე შეიცვალა ვითარება, რომ მას ამ ყველაფერზე პასუხსაც კი არ სთხოვენ, არადა, აშკარად იკვეთება საბოტაჟის ნიშნები“.**

ვახტანგ ძაბირაძე სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ტაქტიკას მარტივად ხსნის, მისი განმარტებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიზანი ერთია, რომ ქვეყნის გარეთ შექმნან სურათი, თითქოს საქართველოში რეპრესიები დაიწყო და არასტაბილური მდგომარეობა იქმნება.

„სააკაშვილის გამოსვლებიც ამ ლოგიკის კონტექსტში ჯდება. ამით სურთ, დასავლეთს აჩვენონ, რომ საქართველოს საგარეო კურსი იცვლება, და ქვეყანაში სტაბილურობის გარანტი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობაა“. ელოდებიან ქვეყანაში ეგეგ როგორმე სიტუაცია გამწვავდეს და ამისი მცდელობაც არის ქვედა რგოლებში, მერე სააკაშვილმა თავისი საკონსტიტუციო უფლება რომ გამოიყენოს და მთავრობა გადააყენოს“, — აცხადებს ძაბირაძე.

როგორც ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, ამ ეტაპზე სააკაშვილის ინტერესში არა პარლამენტის, არამედ მთავრობის დათხოვნა შედის, რომ თუ საჭირო გახდა, სწორედ მის მიერ დანიშნულმა მთავრობამ ჩაატაროს რიგგარეშე არჩევნები და არჩევნების გაყალბების საშუალება ჰქონდეს.

„პარლამენტის დათხოვნა არც ნაციონალების და არც მიშას ინტერესში არ შედის. მათ ინტერესში შედის, გააკონტროლონ მთავრობა. თუ კონსტიტუციაში ცვლილება არ შევა, აღმასრულებელ ხელისუფლებას დაითხოვს და მერე ახალ მთავრობას თვითონვე დანიშნავს. რაც შეეხება პარლამენტს, იტყვის, რომ მისი დათხოვნის უფლება არ აქვს. თანაც წინასწარ იცის, რომ არჩევნებს წააგებს. თუ მთავრობას დაითხოვს და თავის მთავრობას დანიშნავს, ნელ-ნელა ააწყობს იმ ბერკეტებს, რომლის მეშვეობითაც არჩევნებს გააყალბებს. მერე, როცა დრო მოვა, თუ საჭირო გახდა, პარლამენტსაც დაითხოვს. ეს მარტივი გეგმაა და საამისო ფონის შექმნას ემსახურება ის განცხადებები, რასაც სააკაშვილი და ნაციონალები აკეთებენ. რომ ეკონომიკა ვერ ვითარდება, დანაშაული იზრდება, საგარეო ვექტორი რუსეთისკენ იცვლება და ა.შ.“, — აცხადებს ძაბირაძე.

მიხეილ სააკაშვილი როდესაც საკუთარ დემოკრატობაზე საუბრობს, ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ საკუთარი ნებით დათმო აღმასრულებელი ხელისუფლების ბერკეტები, თუმცა, ვახტანგ ძაბირაძე მიიჩნევს, რომ ეს სააკაშვილის ნებით კი არა, დასავლეთის ზეწოლით მოხდა და ახლა სურს, დაკარგული როგორმე უკან დაიბრუნოს.

„მან ნახა, რომ თუ ამას არ იზამდა და არჩევნების შედეგს არ აღიარებდა, მას დასავლეთი მხარს არ დაუჭერდა და ძალზე ცუდი რამ მოხდებოდა. ახლა ცდილობს, დასავლეთი დაარწმუნოს, რომ ისევ მას დაუჭიროს მხარი, რომ მე ვარ ის კაცი, რომელიც დემოკრატიის თვალსაზრისით კი არღვევს რაღაცებს, მაგრამ აქვს დასავლური საგარეო კურსი“, — ამბობს ძაბირაძე.

სააკაშვილის მცდელობის მიუხედავად, ძნელად დასაჯერებელია, ხალხმა ირწმუნოს მისი. როგორც ექსპერტები ამბობენ, ნელ-ნელა იმ ბერკეტებსაც კარგავს, რითაც დასავლეთს არწმუნებდა, რომ დემოკრატიის შუქურა იყო.

იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელი ხელისუფლება ქვეყნის სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებისკენ ხელშესახებ ნაბიჯებს გადადგამს, ნაკლებად სავარაუდოა, სააკაშვილმა გაბედოს იმ გეგმის განხორციელება, რაზედაც ექსპერტები ეჭვობენ და აღმასრულებელი ხელისუფლების კვლავ ხელში ჩაგდებას შეეცადოს. იმის მიუხედავადაც კი, რომ ეს სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენის, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენის ბოლო შანსი იქნებოდა.

ლალი ზირაძიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

ააშენებენ ბათუმში ახალ მეჩეთს?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხს გამოეხმაურა.

ორშაბათის ტრადიციული ბრიფინგის შემდეგ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

ავთანდილ ბერიძემ განმარტა, რომ რელიგიური დაწესებულება უნდა აშენდეს მრევლის მოთხოვნის საფუძველზე, კანონის დაცვით. მისივე თქმით, საქართველოში აღმსარებლობის მისედვით შეზღუდვა არავის არ ექნება:

—საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნდა აშენდეს ნებისმიერი რელიგიური დაწესებულება იქ მცხოვრები მრევლის მოთხოვნით, თუ ისინი კანონს დაიცავენ. შენობის აშენება დაუშვებელია ნებართვის გარეშე. ვერც ერთ სოფელში ვერ ააშენებ ბოსელს, თუ არ გაქვს ნებართვა; საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში ვერ ააშენებ ფარეხს, თუ არ გაქვს ნებართა. შესაბამისად, ვისაც ამისი სურვილი აქვს და თუ ამისი სურვილი აქვს ვინმეს, მიმართოს შესაბამის ორგანოებს და კანონის ფარგლებში მოამზადონ დოკუმენტაცია, — აღნიშნა ავთანდილ ბერიძემ.

ავთანდილ ბერიძის განმარტებით, წინასაარჩევნო პერიოდში ის აღნიშნავდა, რომ ბათუმსა და საქართველოში არ უნდა აშენდეს რომელიმე სახელმწიფოს შეკვეთით, იძულებით და თავს მოხვეულად სულთნის სახელობის მეჩეთი.

ბათუმში კიდევ ერთი მეჩეთის მშენებლობის საკითხი აჭარის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის ამერიკისა და გაერთიანებული სამეფოს სასულიერო კომპენსიებთან შეხვედრის შემდეგ გახდა აქტუალური. ხაბაძემ ამ შეხვედრის შემდეგ განმარტა, რომ მეჩეთის მშენებლობის საკითხზე კონსულტაციები მიმდინარეობს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ყველა პაციენტი ყველგან ერთი სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს ნამკურნალევი

უროლოგთა კონფერენციის დეტალები

ამბობენ რომ, პირველი უროლოგიური ქირურგიული ოპერაცია 5 ათასი წლის წინათ ჩატარდა, თუმცა, ლიცენზირებული უროლოგები მხოლოდ მე-20 საუკუნიდან არსებობენ. დღეს უროლოგია მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგია, მაგრამ ამისდა მიუხედავად დაავადებულთა რიცხვი იზრდება. ამიტომაც ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი აქვთ მეცნიერებს.

ალექსი დარენკოვი

როგორც ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში ვწერდით, 26-27 იანვარს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ დიდ საკონფერენციო დარბაზში უროლოგთა საერთაშორისო კონგრესი გაიმართა, რომელსაც ალექსანდრე წულუკიძის სახელობის უროლოგიურმა ცენტრმა უმასპინძლა, პროფესორ ლაურ მანაგაძის ხელმძღვანელობით. ზოგადად, ექიმთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში სამეცნიერო კონგრესები აქტუალურობასა და, შესაბამისად, ეფექტიანობას კარგავენ, თუმცა, ამ შემთხვევაში გაცილებით საინტერესო მოვლენასთან გვქონდა საქმე, რადგან მას პროფესიული დეტალები ამდიდრებდა – პირდაპირი ვიდეოოპერაციების სახით.

ქართველ უროლოგებთან ერთად მოხსენებებით წარსდგნენ უცხოელი პროფესორები გერმანიიდან, ინგლისიდან, რუსეთიდან. გერმანელმა უროლოგმა პიტერ ილკენმა ისაუბრა გავრცელებული და მეტასტაზირებული კიბოს შესახებ, ინგლისელმა კრის ჩაპელმა წინა ურეთრის ქირურგიაზე გაამახვილა ყურადღება, რუსი პროფესორების ა.დარენკოვისა და დ. მარტოვის მოხსენებები ურეთრის პლასტიკას შეეხებოდა. არანაკლებ საინტერესო იყო ქართველი მონაწილეების გამოსვლები თირკმლისა და პროსტატის კიბოს შესახებ, ბავშვთა უროლოგიასა და სხვა თემებზე. მოხსენებებით წარსდგნენ უროლოგები: დავით ნიკოლეიშვილი, ნინო თურმანიძე, გურამ ქარაზანაშვილი, ზაზა ჭანტურია, ამბროსი პერტია... დარბაზში დისკუსიები მიმდინარეობდა ვიდეომოხსენებების პარალელურად და ოპერაციის დეტალებს განიხილავდნენ. გავესაუბრეთ რამდენიმე სტუმარს, რომლებიც კმაყოფილებით აღნიშნავდნენ კონფერენციის მიმდინარეობის დადებით ასპექტებს.

ალექსი დარენკოვი: „ჩვენ დიდი ხანია, ვთანამშრომლობთ უროლოგიის ეროვნულ ცენტრთან, ყოველგვარი პოლიტიკური თუ სხვა მოვლენების მიუხედავად და ასევე გავაგრძელებთ. ძალიან გვინდა, რომ ავამოქმედოთ სტუდენტების გაცვლითი პროგრამები ჩვენს ქვეყნებს შორის, მზად ვართ, მივიღოთ ქართველი უროლოგები ჩვენს უნივერსიტეტში მოსკოვში და დავიწყოთ ოფიციალური ხელშეკრულებების გაფორმება ამის თაობაზე. ბატონი ლაური ჩემი მასწავლებელი და მეგობარია, მას ძალიან დიდ პატივს სცემენ მთელი მსოფლიოს უროლოგები. რაც შეეხება კონფერენციას, ის უდავოდ საინტერესოა, რადგან ვიდეოფორმატში მიმდინარეობს. ჩვენც ჩავატარეთ ასეთივე კონფერენცია, უკვე მეხუთედ და ძალიან შედეგიანი გამოვიდა, განსაკუთრებით სასარგებლოა ის ახალი თაობის უროლოგებისთვის, რომლებიც ეუფლებიან ახალ ქირურგიულ ტექნიკასა და უნარჩვევებს. ვიმედოვნებ, მორიგ კონფერენციაზე მოსკოვში ბევრი მოხსენება იქნება წარმოდგენილი... საქართველოდან ველოდებით კოლეგებს“.

ჯრის ჩეპელი: „სასიამოვნოა საქართველოში ყოფნა, ბოლოს 12 წლის წინათ ვიყავი...გუშინ ვესტუმრე თბილისში რამდენიმე უროლოგიურ განყოფილებას და მოხიბლული ვარ მომსახურების დონით, აბსოლუტურად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. საქართველოს უროლოგთა ასოციაცია ევროპის უროლოგთა ასოციაციის მნიშვნელოვანი წევრია. პროფესორი მანაგაძე და მისი კოლეგები დიდ როლს ასრულებენ ევროპაში უროლოგიის პრომოციაზე. ყოვლისმომცველია დღევანდელი საკონფერენციო პროგრამა და კარგად არის ორგანიზებული.“

ზაზა ჭანტურია: „დღევანდელი ჩვენი კონფერენცია ექიმთა ცოდნის განახლებაზეა ორიენტირებული. მნიშვნელოვანია კოლეგებისთვის ახალი ინფორმაციის მიწოდება, რომელსაც ისინი პრაქტიკაში გამოიყენებენ .აქ განიხილავენ სიახლეებს უროლოგიაში, რამდენიმე ფართოდ გავრცელებულ დაავადებას. უკვე სახელმწიფო პოლიტიკაა ის, რომ შეიქმნას პროტოკოლები ყველა გავრცელებულ დაავადებაზე, რათა პაციენტები ყველგან ერთი სტანდარტის მიხედვით იყვნენ ნამკურნალევი“.

ჯიმშერ კუჭუხიძე: „მე უკვე აღარ ვმუშაობ უროლოგიის ეროვნულ ცენტრში, ჩემი ასაკის გამო, მაგრამ კოლეგების დიდი გულშემატკივარი ვარ, მაინტერესებს ნებისმიერი სიახლე. ეს კონფერენცია კი არა, სიმპოზიუმია, იმდენად კარგად არის ორგანიზებული, გათვლილია ყოველი დეტალი. ბატონ ლაურის უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის უროლოგიაში, მით უმეტეს, ძალიან ზრუნავს ახალ თაობაზე. მედიცინა ყოველდღიურად ვითარდება, წინ მიდის და საქართველოც არ უნდა ჩამორჩეს ამ ფერხულს...“

გუშინ უროლოგიის ეროვნულ ცენტრში 3 დღის პატარას გაუკეთეს ოპერაცია, რომელსაც ჯერ კიდევ დედის მუცელში ყოფნის დროს გამოუვლინეს თირკმლის ორმხრივი სიმსივნე. ნებისმიერ ქირურგიულ მანიპულაციას ახლავს ნერვიულობა და შიში, მაგრამ ამჯერად ყველაფერი უნაკლოდაა, ჩვილი საიმედო ხელშია. ასეთი სირთულეები არ აშფოთებთ ქართველ უროლოგებს...

თეა მოსია.

სურათებზე: დელეგაციის მონაწილეები.

მამია ალაშვილის ფოტო

◎ სტიქიის გამოძახილი

რაც მეტია კომპენსაცია, მით მეტია პროტესტი

კახეთში კომპენსაციების დარიგების პარალელურად საპროტესტო გამოსვლები არ წყდება. დაზარალებულთა ნაწილი დაშოშმინებას არ აპირებს. უკვე გაჩნდა ეჭვი, რომ შექმნილი არეულობის უკან ყოფილი მაღალჩინოსნები დგანან.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, რომელიც ამავე დროს კახეთის სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელია, კახეთის რეგიონში იმყოფებოდა. იგი პირადად შეხვდა კახეთის სტიქიით დაზარალებულ პირებს და დაესწრო კომპენსაციების გაცემის პროცესს.

შერგელაშვილმა კომპენსაციის ასაღებად მოსულ გლეხებს დეტალურად განუმარტა საკომპენსაციო თანხის დათვლის მეთოდოლოგია და მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება და რამდენ ეტაპად განხორციელდება კომპენსაციების გაცემის პროცესი. ამის შემდეგ, თენგიზ შერგელაშვილი თელავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრს ეწვია, სადაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შეხვდა.

კახეთში კომპენსაციების გაცემის პროცესი უკვე 3 დღეა მიმდინარეობს და კიდევ რამდენიმე კვირას გაგრძელდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ინფორმაციით, კუთვნილი კომპენსაციების აღება მოსახლეობას შაბათ-კვირასაც შეეძლება. საწყის ეტაპზე ბანკ „ქართუს“ რეგიონული განვითარების სამინისტროდან 2768 ადამიანისგან შემდგარი სია გადაეგზავნა, რომელსაც 24 იანვარს 2 000 დაზარალებულის სია დაემატა.

თუმცა, ლაგოდეხსა და ყვარელში მცხოვრები მოსახლეობა სტიქიით დაზარალებულებისათვის კომპესაცის გაცემის პროცესით უმაყოფილოა. ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის მოსახლეობამ ადგილობრივ გამგეობასთან საპროტესტო აქია გამართა და გაცემული კოპესაციების თანხის სიმცირე გააპროტესტა. აქციის მონაწილეების თქმით, სტიქის შედეგად მიყენებული ზარალის აღწერა სრულად არ მოხდა, რის გამოც მათ კომპესაციის სახით უმნიშვნელო თანხა აიღეს.

„კომისიამ მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთი აღწერა. სტიქიამ ვენახები მთლიანად გაგვინადგურა. ეს ზარალი კი არ გაითვალისწინეს და მხოლოდ 100-200 ლარის ოდენობის თანხა გაიცა“, – ამბობენ უკმაყოფილო აფენელები.

მოგვიანებით, სოფლის მოსახლეობა ლაგოდეხის რაიონის გამგებლის მოადგილეს გიორგი ბიჭიაშვილს შეხვდა და კომპენსაციის სრულად გაცემა მოითხოვა. გამგებლის მოადგილის განცხადებით, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც აფენის ზარალს თავიდან დაითვლის, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კომისიის წევრმა ზარალი არასწორად დაითვალა, შესაძლოა, მათი სამსახურიდან გათავისუფლების საკითხიც კი დადგეს.

თუკი სტიქიით მიყენებული ზარალი სრულად არ ანაზღაურდება, აფენელები გურჯაანი-თბილისის დამაკავშირებელი გზის გადაკეტვით იმუქრებიან.

გაცემული კომპენსაცია გააპროტესტეს ყვარელშიც. ლაჯერაშვილების ოჯახმა ზარალის ანაზღაურების სახით 75 ლარი მიიღო. სოფელ გავაზში მცხოვრები ოჯახი საპროტესტო აქციებით იმუქრება.

პარტია „საქართველოს გზის“ თელავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩილ ჯორჯაძის აზრით, კახეთში სტიქიით დაზარალებულთათვის კომპენსაციების გაცემის საკითხის ირგვლივ შექმნილი არეულობის უკან კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე გიორგი ბოტკოველი დგას.

„21 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულმა ინფორმაციამ კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციების გაცემასთან დაკავშირებით, თელავის მუნიციპალიტეტში ვნებათაღელვა და არეულობა გამოიწვია.

მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში და გამგეობასთან აქციები გაიმართა. მოქალაქეებმა საავტომობილო გზები გადაკეტეს და გამგეობის შენობაში შეიჭრნენ. გადამოწმებული ინფორმაცია მაქვს, რომ ამ ქმედებების უკან დგას გიორგი ბოტკოველი“, – აცხადებს ჯორჯაძე.

იხ. 9 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ცრუ საგადასახადო ამნისტია

მიშამ ნერვები მოიშალა!

მიშამ თავად კი არა, ჩვენ უფრო მოგვიშალა ნერვებიო, აცხადებს ყველა, ვინც კი იმ დღისით პრეზიდენტის ტელევიზიით გამოსვლა მოისმინა. არადა, პრემიერ ივანიშვილის მიერ დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე გაკეთებული სენსაციური განცხადების შემდეგ, სააკაშვილი მართლაც ისე იყო გაცოფებული, შეიძლება ითქვას, პირში „აღვირს“ ვეღარ იმაგრებდა („უაღვირო“ პრეზიდენტი სხვა დროსაც გვინახავს, მაგრამ ასე გაჭენებული არა). ეს უკვე მეტისმეტია, ეს ქვეყნის ღალატის ტოლფასიაო, გვარწმუნებდა სააკაშვილი, მთავრობის თავკაცი რომ უცხოელ ბიზნესმენებს იმას ჩაუკაკლავს, საქართველოს წინა ხელისუფლება ცრუობდა, გატყუებდათ, თითქოს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვის იდეალური პირობები იყოო, ასეთ თავკაცს რა უნდა ელაპარაკო, ამის შემდეგ თქვენ გჯერათ, რომ უცხოელი ინვესტორები ბუზებივით დაგვესევიანო? ამით მარტო წინა ხელისუფლებას კი არა, მსოფლიოს თვალში მთელ საქართველოს გაუტეხა სახელი, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვაპატიებთ „ქართულ ოცნებას“. მეტის მოთმენა აღარ ივარგებს, ბოლოს და ბოლოს დროა, ხალხმა ხმა ამოიღოსო! — დასძინა მრავალმნიშვნელოვნად სააკაშვილმა.

რა აზრისაა ყოველივე ამის შესახებ თავად პრემიერი ივანიშვილი? მას მიაჩნია, რომ დავოსში ბიზნესმენებთან შეხვედრისას საქართველოს ყოფილი ხელისუფლება კი არ დააბეზღა, როგორც ეს სააკაშვილს ეჩვენება, არამედ სიმართლე უთხრა და იმასაც შეპირდა, რომ ახალი ხელისუფლება მათ ცრუ დაპირებებით კი არა, რეალურად შეუქმნის პირობებს თავისუფალი და კონკურენტული ბიზნესის გასაკეთებლად. ივანიშვილის აზრით, ნაცმოძის დანაშაული, იმასთან ერთად რომ ქვეყანა ტყუილებით გამოკვება, ისიც გახლავთ, რომ მან ევროპული ღირებულებები გააუფასურა, წარუმატებელი რეფორმები ევროპელებს წარმატებულად შეასაღა და ბიზნესის იოლად კეთების ცრუ ფანტაზია შექმნა. ამის „გაიასნებაზე“ სააკაშვილი კი იცოფება და იშლეგება, მაგრამ მას, ფაქტობრივად, მსმენელი აღარა ჰყავს. მას ჰყავს მხოლოდ კუდის ამწევები, რომლებიც დემაგოგიურად იცავენ რაღაც სააკაშვილისეულ სიცრუე-სისულელეებს. ეს ყველაფერი იმ ხალხს, რომელსაც მიშა „ხმის ამოსაღებად“ მოუწოდებს, ფაქტობრივად მათ აღიზიანებს და საშიშია იმავე მიზნაცებისთვის, რათა ელექტორატის კიდევ ერთხელ გაღიზიანება ძვირად არ დაუჯდეთ(!).

ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, მათ შორის ტყუილებსაც. „ქართული ოცნების“ თავკაცის თქმით, მიზნაცები ევროპასა და ამერიკაში სიცრუის ექსპორტს დღემდე როგორღაც ახერხებდნენ, მაგრამ მცირე რაოდენობით და ესეც მალე დასრულდება.

როგორც ვთქვი, მიზნაცებს ელექტორატი, მსმენელი აღარა ჰყავს (თუკი ვინმე მაინც უსმენს, ისიც კვერცხებს ესვრის), მაგრამ სამაგიეროდ თავად ნაცები უსმენენ ერთმანეთს გულდასმით, სჯერათ თავიანთი ბელადისა და მზად არიან, სამარის კარამდე მიჰყვნენ. ამის დასტურად გამოდგება ბოლო პერიოდში ვითომცდა ქვეყანაში შექმნილი კატასტროფული ეკონომიკური კრიზისის გამო ნაცების მიერ ატეხილი დაუსრულებელი ხმაური. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ყოფილმა პრემიერმა და ნაცების ამჟამინდელმა „გენსეკმა“ ვანო მერაბიშვილმა, რომელსაც დიდი მამულიშვილური გრძნობები მოსვენებას არ აძლევს, ერთ მშვენიერ დღეს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის მონაცემებში საეჭვო უკანსვლას მიაგნო. და ატყდა ამის გამო ერთი ვაიუშველებელი: ივანიშვილის მთავრობა მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტთა დაჭერებზეა გამეცადინებული, ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობა კი ფეხებზე დაიკიდაო, საბიუჯეტო შემოსავლები დღითი დღე მცირდება, ინვესტიციები კი საერთოდ შეწყდაო. რომელ წყაროზე დაყრდნობით აკეთებს ასეთ დასკვნას ნაცების „გენსეკი“, არავინ უწყის და არც პასუხს სთხოვს ვინმე.

სინამდვილეში რა ხდება? თურმე, არაფერია საგანგაშო და როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გადაჭარბებულია, უფრო სწორად, გაბუქულია ქვეყნის სვებედზე ერთთავად დაფიქრებული მიზნაცების წუხილი, რომელიც მიზნად ისახავს არა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, არამედ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას. როგორც ეკონომიკის ექსპერტები განმარტავენ, ნაცების ფანტაზიის ნაყოფია ის ამბავი, თითქოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლამ ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის ჩიხში მოაქცია. სინამდვილეში ამჟამად საქართველოში არავითარი საბიუჯეტო და საფინანსო კრიზისი არ არსებობს. **მართალია, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ექსპორტ-იმპორტში მცირე კლება შეინიშნება, მაგრამ სამაგიეროდ ორჯერ არის გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები, რაც უდავო წარმატების ნიშანია. რა თქმა უნდა, არის გარდამავალი პერიოდის სიძნელეები, რომლებიც მოკლე დროში გამოსწორდება.**

მაგრამ სააკაშვილი რის სააკაშვილია, თუ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯების შედეგს მოთმინებით დაელოდება (თუნდაც ამას მისივე ნაქები კოჰაბიტაციის პროცესი ავალებდეს) და გასაჭირში ჩავარდნილ ქვეყანას მისეულ ფანტაზიასისულელეებით გაჯერებულ გეგმა-ინიციატივებს არ შესთავაზებს. ხალხი, რომელმაც ბოლო 9 წლის მანძილზე საკუთარ მხრებზე იწვნია სააკაშვილისეული გეგმებისა და რეფორმების სიკეთე, რაღა თქმა უნდა, წინასწარ გათვლილი სიხარულის განცდით შეეგება პრეზიდენტის მიერ საახალწლოდ შემოთავაზებულ კიდევ ერთ ხუთპუნქტიან გეგმას, რომლის პირველ პუნქტში ავტორი მოითხოვს — მოდი, შევწყვიტოთ ერთმანეთის ლანძღვა, ხოლო მეორე პუნქტში — ნუ დაიჭერთ ჩემი გუნდის დამნაშავე წევრებს და მეც თავი დამანებეთო(!). თავად კი მოითხოვს სააკაშვილი ოპონენტებისგან ასეთ დათმობას, მაგრამ მეორე წუთსვე ავიწყდება და მეოცნებეებს ლანძღვა-ფურთხით უმასპინძლდება.

ამ ფონზე, როცა „ნაცებისა“ და „მეოცნებეთა“ თანაცხოვრება დათბობა-დატკბობის უმნიშვნელოვანეს პროცესში შევიდა, უხერხული იქნება, არ გავიხსენოთ პრეზიდენტ სააკაშვილის ფრიად გახმაურებული ინიციატივა, რომელსაც მან ეკონომიკური ამნისტია, ანუ ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია უწოდა. სააკაშვილს მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის საუკეთესო საშუალებაა საგადასახადო ამნისტია, რომელიც, მისი აზრით, ბიზნესს ხელ-ფეხს გაუხსნის და საბიუჯეტო შემოსავლებს ერთიორად გაზრდის. სულ სხვაგვარად ფიქრობენ ეკონომიკის ექსპერტები და მეცნიერები. **„მე ეკონომიკური ამნისტიის წინააღმდეგი ყოველთვის ვიყავი, — ამბობს პროფესორი ლადო პაპავა, — ასეთი რამ ბიუჯეტს ზიანს აყენებს, რადგანაც გადასახადების გადამხდელის ქცევაში ყალიბდება სტერეოტიპი, რომ მომავალშიც შეიძლება ამნისტია გამოცხადდეს და ამიტომ ურჩევნია, მომავალი ჩამოწერის იმედით საგადასახადო დავალიანებები დააგროვოს“. სააკაშვილი კი სწორედ ასეთი გადამხდელების ამნისტიას მოითხოვს!**

საგადასახადო ამნისტიის პრინციპული მოწინააღმდეგეა მრავალნაცადი ბიზნესმენი გოგი თოფაძეც. **„ნებისმიერი საგადასახადო თუ ფინანსური ამნისტია, — ამბობს ის, — არის იმათი დასჯა, ვინც წესიერად იხდიდა გადასახადებს და იმათი წახალისება, ვინც ხელისუფლებასთან იყო გარიგებული და არ იხდიდა გადასახადებს“.** ამის მაგალითად თოფაძე ასახელებს საყოველთაოდ გახმაურებულ „რუსთავი-2“-სა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წლობით დაგროვილ მილიონებს, რომელსაც ხელისუფლება დიდსულოვნად პატიობდა და ბოლოს, როგორც წესი, ჩამოაწერდა ხოლმე. ასეთივე „შეღავათებით“ სარგებლობდა ყველა ის საწარმო თუ კომპანია, რომელსაც მიზნაცების კორუფციადამმარცხებელი ხელისუფლება „კრიშავდა“. ეს ის ხელისუფლება გახლავთ, რომელიც, ეკონომიკის ექსპერტ გია ხუხაშვილის განმარტებით“, **ბიზნესმენებს აიძულებდა არაპროფილური ხარჯების გაწევას და სხვადასხვა პროექტებში ფულის ჩადებას. ბიზნესიდან თანხები ქეშით მიედინებოდა სხვადასხვა სალაროებში, საიდანაც ხდებოდა პირდაპირი ინტეგრაცია ბიზნესში წილების გადანაწილების კუთხით. ეს იყო კრიმინალური თამაშის წესები, რომლითაც სააკაშვილის ხელისუფლება ეთამაშებოდა პრაქტიკულად მთელ ქართულ ეკონომიკას და მათგან ციინიკურად ჟღერს ის რიტორიკა, რასაც ჩვენ ამ ბოლო დროს ვისმენთ“.**

დიახ, ეს იყო დანაშაულებრივი სისტემა, კოლექტიური სააკაშვილის მიერ გარყვნილი და გაფუჭებული რეჟიმი, რომელსაც ყალბი რიტორიკის გარდა, აღარაფერი შემორჩა, და რომელსაც სააკაშვილის კუდის ამწევების გარდა, აღარავინ უსმენს.

ოთარ ხუციშვილი

◎ ენერგეტიკა

ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები ჩვენს ეკონომიკას მნიშვნელოვნად წასწევს წინ

ჩვენი გაზეთი წინა ნომრებში წერდა, რომ პრეზიდენტრის ძმები და კეზერაშვილი, იყვნენ რა საქართველოში საწვავის მონოპოლისტი იმპორტიორები, ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს ადგილობრივი ნავთობწარმოების როგორც დაძებნა-მოპოვებას (ამ მიზეზით გააუქმეს ნავთობკომპანია „საქნავთობი“), ასევე გადამმუშავებელი ქარხნების აშენებას, აჩერებდნენ უკვე არსებულთა საქმიანობას. „ვარდოსნების“ მოსვლამდე ქვეყანაში 24 ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა მუშაობდა, მაგრამ სააკაშვილის მთავრობამ ამ საწარმოებს „ჩაინიკები“ უწოდა და სალიცენზიო მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო ლიცენზიების გაცემა შეუწყვიტა. მსხვილი ნავთობგადამმუშავებლები აცხადებენ, რომ ყველა ქარხნის ერთ მდგომარეობაში ჩაყენება დარგის კრიზისს ნიშნავდა, მართლაც, ბევრი ქარხანა თავისი ნებით დაიხურა, ვინც განაგრძო მუშაობა, გაკოტრდა. ყველა საწარმო დაიხურა.

ნაცების ხელისუფლება „ჩაინიკების“ ნაცვლად „უცხოური კაპიტალით“ ახალი ქარხნების აშენების პირობას დებდა,. მაგრამ სააკაშვილებისა და კეზერაშვილების „წყალობით“, ყველა შეთანხმება ჩაიშალა. ვერ მორიგდნენ ჩვენი მთავრობა და გერმანული კომპანია „გურგესი“ საქართველოში მათივე ინვესტიციებით ნავთობგადამმუშავებელი მცირე ზომის ქარხნის აშენების თაობაზე.

იმავე მონოპოლისტების ზეწოლით ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ყაზახურ მხარესთან. როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი 2009 წელს ყაზახეთს ესტუმრა, მოხდა სიტყვიერი შეთანხმება, რომ ყაზახები თავისი 350-400-მილიონიანი ინვესტიციებით ჩვენთან ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას ააშენებდნენ. შეიქმნებოდა ერთობლივი ქართულ-ყაზახური კონსორციუმი. ქარხანა 3 წელიწადში აშენდებოდა და ყაზახური ნავთობით მომარაგდებოდა. წარმოებული ნავთობი საქართველოს მოთხოვნას სრულად დააკმაყოფილებდა, მაგრამ...

ყველაფერი თავიდან იწყება

საძართველო ნავთობპროდუქტებით მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. ეკონომისტების გათვლებით, ადგილობრივი ნავთობგადამმუშავებელი წარმოების განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. მათი განმარტებით, ნავთობპროდუქტების იმპორტისაგან მიღებული შემოსავალი შედარებით ნაკლებია, ვიდრე ადგილობრივი წარმოებიდან მიღებული სავარაუდო საბიუჯეტო შემოსავალი იქნება. გარდა ამისა, საწვავის ფასი, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს როგორც მომხმარებელზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკაზე, შედარებით დაბალი, სტაბილური და პროგნოზირებადი გახდება.

ევროპული ქვეყნები, რომელთაც არა აქვთ საკუთარი ნავთობმოპოვება, ამჯობინებენ ნედლი ნავთობის შესყიდვას, ტრანსპორტირებას და ადგილზე გადამუშავებას, რითაც ხდება ნავთობპროდუქტების მომხმარებლამდე მიწოდების გზის შემოკლება. იზოგება სახელმწიფო თანხები და ხარჯები.

ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების დონე ჩვეულებრივ ფასდება ნავთობის გადამუშავების სიღრმით, ანუ სასარგებლო პროდუქტის შეფარდებით ნედლ, გადასამუშავებელ ნავთობთან. ეუთოს ტექნიკური ექსპერტის ენერგეტიკული მასალების დარგში პროფესორ ავთო დოლიძის გადმოცემით, ამ მხრივ აზერბაიჯანისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობა უზრუნველყოფს 60-65 პროცენტს. მაღალ განვითარებულ ქვეყნებში 80-85 პროცენტსაც კი.

სააკაშვილის ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობაში დაენერგა მცდარი შეხედულება, თითქოს ერთი მილიონი ტონა ქარხანა არარენტაბელურია. — ამბობს ექსპერტი და იქვე აგრძელებს, რომ ამგვარი მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება. ამგვარი საშუალო სიმძლავრის ქარხანა, თანამედროვე კონფიგურაციით, მშენებლობაზე გახარჯულ თანხებს 1,5-2 წელიწადში ამოიღებს.

პროფესორის აზრით, საქართველოში ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინებით, მსხვილი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის. ჩვენთან შესაძლებელია 2 საშუალო ზომის ქარხნის მშენებლობა, რომლებიც ეკოლოგიურადაც უსაფრთხოები იქნებიან და ქვეყნის მოთხოვნილებებს საწვავზე დიდ წილად დააკმაყოფილებს.

იხ. 19 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საქართველოვ, შენ სადა გყავს შვილი დასაკარგავი!

ისპაჰანიდან – პეტერბურგამდე

ბედკრული საქართველოს შვილებიო, ჯერ კიდევ როდისა თქვა მწერალმა, როს ქართველ მამლუქებზე წერდა. არ მეგულვის ქართველი, ვისაც არ ეფიქროს იმ თანამემამულეთა ხვედრზე, ვერაგი დროების მიერ სამშობლოს მიღმა რომ მოუწია – ცხოვრება, მოღვაწეობა, ცხრაპირ ტყავის გაძრობამდე შრომა, რათა დღევანდელი მოდური გამოთქმისა არ იყოს – თვითრეალიზება შეძლებოდათ. სად არ წააწყდები ქართველის კვალს, სად არ წააწყდები და ისინი ყველგან მიღებულზე-მიღებულები იყვნენ, ეს იქნებოდა სტამბული, ისპაჰანი, მოსკოვი თუ რა იმპერიათა ცენტრები. ყოფილა ისეც, რომ ამ სახელმწიფოთა საჭეთმპყრობლები გამხდარან და თავიანთი გონიერი მმართველობით, არ მეშინია ვიყო ბანალური და ვიტყვი – ოქროს ასოებით ჩაუწერიათ თავიანთი გვარ-სახელები. ყველგან, სადაც კი ქართველის ნატერფალს შეამჩნევთ, წარმატების სურნელი ტრიალებს. ჩვენც არაერთხელ სიამაყით ვზიარებულვართ მათი ცხოვრების იდუმალებით შენისლულ პერიპეტიებს. არც იდეალიზაციაა უცხო რამ ჩვენთვის და არც ხელაღებით უარყოფა პიროვნებისა და ასეთ დროს საპირწონედ ისეთი ცხოვრებისეული ბალადა გამოგვაქვს, რომელიც გინდ, არ გინდა, ეჭვს აჩენს, ჩვენს მიერ მისი მოღვაწეობის ობიექტურ წონადობაში. რას იზამ ასეთ არს ქართველთა ბუნებაი.

ამას წინათ, მეცნიერმა და მწერალმა სოსო სიგუამ დამდო პატივი და მიახლა ერთ არაორდინარულ საღამოზე. „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ თბილისის ფილიალი გრიბოედოვის ქუჩის აღმართის პირველსავე ჩიხში მდებარეობს. ზარი დავრეკეთ თუ არა, ამ სახლის დიასახლისი, ხელმძღვანელი და სულის შთამბერავი ქალბატონი ნანა ჯაფარიძე შემოგვეგება, რომლის ღიმილმა და უაღრესად დახვეწილმა ტაქტმა უცბად მომიხსნა გაუცხოვების უღიმღამო განცდა და ურთიერთობა თბილ მეგობრულ უნისონში გადაიზარდა. გაშინაურებულმა კუთხეში მდგარ ვრცელ მაგიდაზე წიგნებს ვკიდე თვალი, რომელთა გამოცემის ძალზედ მაღალმა პოლიგრაფიულმა დონემ მსწრაფლ მიიქცია ჩემი ყურადღება. მწერლურმა გუმანმაც იძალა და მაგიდას მივაშურე. ერთხანს ხარბად ვათვალიერებდი მათ, მერე ისიც აღვიქვი, რომ ეს ბრწყინვალე გამოცემები, ან საქართველოს სახელოვანი შვილების საარაკო ცხოვრებაზე მოგვითხრობდა, ანდა ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხთა ერთ მუშტად შეკვრას და მერე მკითხველთან მოტანის დიდ საქმეს ემსახურებოდა. ავიღე ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე, მეოთხე, მერე... ყველა მათგანს „ქართველთა მსოფლიო კონგრესის“ ლოგო ამშვენებდა, რაც იმის უტყუარი ნიშანი გახლდათ, რომ თითოეული მათგანის წიგნად გაცოცხლება, ამ საზოგადოების პირუთვნელი დამსახურებაა. გამომცემელიცა და დამფინანსებელიც იგი გახლდათ და სწორედაც ამ კონგრესის თავმჯდომარის – „პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის“ – წევრად არჩევის საზეიმო მიღებაზე ამომიყვია თავი და ამ პიროვნებას ალექსანდრე ებრალიძე ჰქვია.

ალექსანდრე ებრალიძე?! – უცბად დავიმუხტე, ეს ხომ ის კაცია, სანკტ-პეტერბურგში, რომ მოღვაწეობს და რომლის მიმართ ლაფის შესხმა ჩვენი წამყვანი ტელეარხების მიერ „კარგ ტონად“ ითვლებოდა და რომლის კანონიერ სურვილს დაებრუნებინა საქართველოს მოქალაქეობა – უმადურად უგანეს. ფიქრთა ტყვე, პარალელურად ვუსმენდი გამომსვლელ საზოგადო მოღვაწეებს და ჰოი საოცრებავ – ამ, ტელევიზიათა მიერ შერისხულ კაცს, რამდენი სიკეთის ბალავარი ჩაუსხია, მეცენატობაც მისი ცხოვრების წესთა-წესი ყოფილა და ამავ დროს მეცნიერი, მწიგნობარი, შემოქმედებითი სულის მატარებელი პიროვნება თურმე ამდენი წლები მორიდებით გვერდზე გამდგარი აკვირდებოდა ჩვენს ცხოვრებას.

უცნაური ზნე გვჭირს ქართველებს, ერთს რომ ზეცად ავტყორცნით, მეორეს ჩვენს ხასიათთა უგვანო ხედვის გამო ტალახში ამოვგანგლავთ. უნებლიედ ძმები უნდილაძეები მახსენდებიან, ბედმა-მდევარმა სპარსეთს რომ გატყორცნა. ძმებმა ირანს თავისი დიდი ნიჭი და კოლოსალური ენერგია შეალიეს. ისპაჰანში საკუთარი თვალით მაქვს ნანახი მათი აგებული ხიდი, რომელიც მართლაცდა გაოცებს კაცს. შარავანდედით შევმოსეთ ისინი, ოღონდაც იქ კი წავუყრუეთ, სადაც ლაპარაკია ქეთევან დედოფლის მის სახლში წამებასა და ბატონიშვილების დასაჭურისებაზე, რომელიც, აგრეთვე, მათ კარზე განხორციელდა (ერთ-ერთი ბატონიშვილი ჭკუაზეც გადასცდა). რა ექნათო, ვდუდუნებთ, უძლურნი იყვნენ დიდი შაჰის ბრძანების მიმართ და ხმაც რომ ამოეღოთ, მათაც იგივე ბედი ეწოდათო და, ალბათ, მართლებიცა ვართ, როცა ასე ვმსჯელობთ, თუმცაღა, მაშინ რაღას ვერჩით კაცს, რომელიც კარზე არათუ უწამებიათ ვინმე, არათუ დაუსაჭურისებიათ, არათუ თავისი გვარობა დაუვიწყნია, არამედ მისი ცხოვრება ერთი მთლიანი მადლია, რომელიც აუჩქარებლად, დინჯად აკეთებს საქვეყნო საქმეს, არ იმჩნევს დაუმსახურებელ შეურაცხყოფას, ლანძღვას, უზნეო ბრალდებებს, რომელთა შინაარსი ყველაზე მძიმე ბრალდებად სხვა ქვეყნის ინტერესთა გატარებაში აისახება – გაოცება გიპყრობს. უნებლიედ ყოველივე ამის დამწერს ერთი მეტაფორული ფრაზა ამეკვიატა – განა შეიძლება კაცს, რომელიც გალაკტიონს აღმერთებს – პოეზიის სიძულვილი დაბრალო?! და ანალოგია, როგორ შეიძლება კაცს საქართველოს სახელმწიფოს მტრობა დააბრალო, თუკი ის ცხოვრების ხატად დავით აღმაშენებელს მიიჩნევს?! ეს არამარტო ალოგიკურად აბსურდია, არამედ ერთგვარად მკრეხელობაც გახლავთ. ალექსანდრე ებრალიძის არგუმენტი კი გაკეთებულ საქმეთა ნუსხაა, ნუსხაა, რომელიც ქართველთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში თავის დადებით როლს ასრულებს. თუმცაღა მან აშკარად იცის, რომ – წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი მაინც დარჩებიან და უზაკველობაა ასე ფიქრი.

კვლავ ფიქრთა ტყე და კვლავაც მწერლის მოსხლეტილი ქამანდა – საქართველოვ, შენ სადა გყავს შვილი დასაკარგავი?!

ნოდარ კობერიძე,
დავით აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, მწერალი

◎ „წინაპართაგან წასულა ყველა...“

შემუშავდეს გასხვისებული მიწების უკან დასაბრუნებლად საჭირო სტრატეგია

„ძართული მიწა – ძართულ სოფელს, შეწყდეს ძართული მიწა-წყლის გასხვისება“, – ამ ლოზუნგით თბილისში გაიმართა აქცია, სადაც გამომსვლელებმა შეშფოთება გამოხატეს ჩვენი მიწების ხელაღებით გასხვისების გამო. მართლაც,წინა ხელისუფლებამ თავი არ „დაზოგა“, რათა რაც შეიძლება ბევრი მიწა თუ ადგილი მიეყიდა უცხოელებისთვის.

ჩინელების თემა საქართველოში ბოლო დროს საკმაოდ აქტუალური გახდა. საზოგადოება მათ მომრავლებას ჩვენს ქვეყანაში შიშის თვალით უყურებენ. „ზოგი ინფორმაციით, საქართველოში 125 ათასი ჩინელის ჩამოსახლება იგეგმება. პირველი ჩინელი კი, რომელიც საქართველოში გამოჩნდა, სულაც არ იყო საზოგადოებისთვის საშიში, დიდი სარგებლობაც კი მოჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის. ეს იყო ლაუ-ძენ-ძაუ, რომელმაც ჩაის პირველი პლანტაცია გააშენა საქართველოში.

ის, რომ თბილისის მერიამ ერთ-ერთ ჩინურ კომპანიას თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 420 ჰა მიწის ფართობი 1 ლარად რომ გადასცა, არახალია, ძველია. ამ ინფორმაციით სავსეა ინტერნეტი. ამ ტერიტორიაზე კომპანიას სპორტული კომპლექსისა და ჩინური ქალაქის გაშენება აქვს გადაწყვეტილი. ეს ფაქტი შემაშფოთებელი შესაძლოა არც ყოფილიყო, რომ არა ის უცნაური პირობები, რაზეც ქართული მხარე ჩინურ კომპანიას დათანხმდა. თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1 კვ მიწის ფართობი 25-50 დოლარამდე მერყეობს, მერიას კი ეს ტერიტორიები სულ რაღაც 1 ლარად გაუსხვისებია.

ამ დღეებში კი კახეთის საინფორმაციო ცენტრმა მეორე შემაშფოთებელი ინფორმაცია გავრცელა: **კახეთის რეგიონში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე 15 ათასამდე ჰექტარი მიწის ნაკვეთია გაყიდული. კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოპოვებული მონაცემებით, 9 ათასამდე ჰექტარი დედოფლისწყაროს, სიღნაღის და საგარეჯოს რაიონებში ინდოელებმა, არაბებმა და ირანელებმა იყიდეს.5 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი აქვს ნაყიდი კომპანია TR Georgia Project-ს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ლამბალოში, თულარში, დუზაგრამაში, იორმუღანლოში, ყანდაურაში, გიორგიწმინდასა და შიბლიანში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, შპს TR Georgia Project2 2011 წლის 5 აგვისტოს არის რეგისტრირებული. კომპანია შპს TR Company-მ დააფუძნა, რომელიც თავის მხრივ 2011 წლის 24 ივნისს არის რეგისტრირებული და მისი ერთადერთი დამფუძნებელი და მესაკუთრე, ირანელი ბიზნესმენი, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ტაიებ რაშიდმანეშია.**

საჯარო რეესტრის სააგენტოდან მიღებული მონაცემებით, უცხოელებმა მიწის ნაკვეთები როგორც კერძო, ფიზიკური პირებისგან, ასევე სახელმწიფოსგან შეისყიდეს. ახლახან კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ადგილობრივი ფერმერების მიმართვაც, რომლებიც საქართველოს მთავრობას 19 მოთხოვნით მიმართავენ. ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ დაუყოვნებლივ იქნეს შესწავლილი, თუ რამდენად კანონიერად მოხდა უცხოელებზე ქართული მიწების მიყიდვა და შემუშავდეს სტრატეგია გასხვისებული მიწების უკან დასაბრუნებლად.

აი, რა კომენტარები დამხვდა ინტერნეტში ამ თემასთან დაკავშირებით:

„რა უბედურებაგვჭირს... თან გვარებს ისე აძლევენ, ვითომც არაფერიი... ჩინელი რომ გეტყვის, წერეთელი ვაროო... რასისტი არ ვარ, მაგრამ უკვე საფრთხის წინაშე ვდგავართ ქართველი ერიი... ნელ-ნელა გადავჯიშდებით, რაღაც მართლა უნდა მოიმოქმედონ თუ არა ვეღარ გავიგებთ საქართველოა თუ ჩინეთიი...“

„ხალხო, გონს მოდით. ამით არ დამთავრდება ყველაფერი. მალე ჩვენს ქვეყანაში მონები ვიქნებით. ...ყელი უნდა გამოჭრა სააკაშვილს...“

„ფეხზე დასადგომი ადგილები დაგვიტოვეთ ქართველებსაც რა...“

„მოზღვავდნენ კი არა, უკვე საგრძნობლად ჩანს არა მარტო ხარაგაულში, არამედ ქუთაისშიც. თითქმის ხარაგაულელებზე მეტი თუ არა, არც ნაკლებნი აღარ არიან. მთელი ნუნისი, მოლითი და იქით არსებული ტერიტორიები ჩინელებითაა დასახლებული. თვალყურს ვადევნებ და იმ ტერიტორიებსა და საძოვრებზეც უკვე გამოჩნდნენ. კოტეჯებისა და სახლების ჩასადგმელად ადგილს ეძებდნენ. ეს კი იმას გვიქადის, რომ თუ ახლანდელი არჩევნები გადაიტანა ნაციონალურმა მოძრაობამ (და ნაციონალური მოძრაობის უკან კიდევ ვინ დგას, კაცმა არ იცის), მაშინ მომავალ არჩევნებზე უკვე ჩინელები აირჩევენ საქართველოს პრეზიდენტსაც, პარლამენტსაც და ყველა სფეროშიც ესენი იქნებიან.“

„ახლა 22 ათასი ოფიციალური თურქია აჭარაში ჩასახლებული. მტკიცებულებები მაქვს, რომ მათ სასწავლებლებშიც შეიტანეს, ვითომც აჭარა თურქეთის ტერიტორია იყო. ერთი იმერეთიღა დარჩა და იმერეთშიც ჩინელები მოდიან.

„არიან ჩინელები დურმიშხან გელაშვილი და გიორგი გელაშვილი. ამ უკანასკნელს ელიავას ბაზრობაზე აქვს მაღაზიები. ეს ჩინელი ორ კვირაში ერთხელ ჩამოდის ხარაგაულში და ხელმძღვანელობს ჩინელების დაწესებულებებს.“

„პატრონი მართლა არ გვყავს. მთელ საქართველოში ასეთი მდგომარეობაა, არა მარტო კახეთში...“

„არა, არ გვყავს. ჩვენ თვითონ ვერ ვგრძნობთ თავს ამ მიწის პატრონებად და იმიტომ ხდება ასე.“

ნატა ნიბლაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველომ თავად დასწია თავისი რეიტინგი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თავის მონაწილეობას დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ნაყოფიერად მიიჩნევს. საპირისპირო აზრი გამოთქვა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც მიაჩნია, რომ მთავრობის მეთაურმა თავისი „უცნაური" განცხადებებით კატასტროფული ზიანი მიაყენა ქვეყნის რეპუტაციას და გააუფასურა უკანასკნელი წლების მიღწევები. მისი აღშფოთება გამოიწვია ივანიშვილის ფრაზამ იმის შესახებ, რომ „საქართველოს მსოფლიო რეიტინგი ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით ხელოვნურად არის გაზრდილი".

ბიძინა ივანიშვილის განცხადებას „რუსულ საუზმეზე", რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დროს მოაწყვეს დავოსში რუსული ბიზნესის წარმომადგენლებმა, შეხვდნენ ღიმილითა და ტაშით. თბილისში კი მან აფეთქებული ბომბის ეფექტი გამოიწვია. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" აყაყანდა კმაყოფილებით. ექსპერტებმა პაუზა აიღეს, ელოდებიან მოვლენათა განვითარებას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მოწინააღმდეგეებმა სიხარულით დაიწყეს ხელების ფშვნეტა — ბოლოს და ბოლოს, მთელმა მსოფლიომ გაიგო სიცრუისა და ყალბი პიარის შესახებ.

„მე, ალბათ, უკვე აღარაფერი მესმის ამ ცხოვრებაში!", — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ბრიფინგზე თავის რეზიდენციაში. პრეზიდენტის სიტყვებით, მხოლოდ ერთი ძალა იყო დაინტერესებული იმით, რომ წარმოაჩინოს საქართველო საერთაშორისო სარბიელზე არასტაბილურ სახელმწიფოდ, რომელთანაც საქმის წარმოება არ ღირს, — ეს რუსეთია. დღეს ამას აკეთებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. „მიუხედავად მოსკოვის საპირისპირო მოქმედებებისა, ჩვენ დაჟინებით ვქმნიდით ჩვენი ქვეყნის მიმზიდველ სახეს ინვესტიციებისთვის... ახლა კი ღიმილითა და ბედნიერი სახით პრემიერი დავოსში სიამაყით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საქართველოს მეცხრე ადგილი მსოფლიოს რეიტინგში არის გაბერილი და სააკაშვილის მოგონილი", — განაცხადა სააკაშვილმა.

მის წინადადებაზე, გააკეთონ ანალიზი და მისცენ შეფასება მომხდარს, რეაგირება გააკეთეს ეკონომისტებმა, მაგრამ მრგვალი მაგიდები, რომლებიც წამოიწყეს პროფილურმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა, ვერ გამოდგა ეფექტიანი. ჩაიშალა ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის მცდელობაც, მოაწყოს განხილვა პირდაპირ ეთერში.

სიმშვიდე ამ დღეებში, როგორც ჩანს, შეინარჩუნა მხოლოდ თავად ივანიშვილმა. თავის ყოფნას დავოსში მან „საკმაოდ ნაყოფიერი" უწოდა. „მე ვასწრებდი მომეწყო ეკონომიკური ბიზნესშეხვედრებიც, პოლიტიკური შეხვედრებიც. შედეგს, ალბათ, ჩვენ მოგვიანებით დავინახავთ. გპირდებით, რომ ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის მეორე წელი იქნება კარგი, მესამე — ძალიან კარგი, მეოთხე წელს კი დავინახავთ, რომ სიტუაცია საქართველოში ნამდვილად შეიცვალა", — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

როდესაც დავოსში თავის ყოფნას უკეთებდა კომენტარს, ივანიშვილს არ შეეძლო უყურადღებოდ აევლო გვერდი რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრთან დიმიტრი მედვედევთან შეხვედრისთვის. „მე არ გამაჩნია რაიმე დამატებითი კავშირები რუსეთთან, რის შესახებაც ხმებს ავრცელებენ სააკაშვილის გუნდში... ჩვენ მხოლოდ გავიცანით ერთმანეთი. მე გავუწოდე ხელი, და მანაც გამომიწოდა ხელი. მან ჩამომართვა ხელი, მეც ჩამოვართვი. მე ვთქვი, რომ სასიამოვნოა მასთან შეხვედრა. მანაც მიპასუხა, რომ მისთვისაც სასიამოვნოა ეს, და მისურვა წარმატებები. ეს იყო სულ. გაგრძელება, როგორც მოსალოდნელია, უნდა მოჰყვეს ამას", — მიაჩნია ივანიშვილს. მისი სიტყვებით, ის გრძნობს, რომ რუსეთის მხარე მზად არის მოაწესრიგოს ურთიერთობა საქართველოსთან.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

წელს ერთადერთი საკონტროლო-გამტარი პუნქტი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე „ზემო ლარსი" ამოქმედდება სადღეღამისო რეჟიმით. ჩვენი ინფორმაციით, ამას მოითხოვენ მთელი რიგი უწყებები — რუსეთის საზღვარი, საანგარიშო პალატა, აბრეთვე ჩრდილოეთი ოსეთის მესაზღვრეები. ეს გახდება ქვეყნებს შორის პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობათა შემსუბუქების ლოგიკური შედეგი — ქართულ ღვინოებსა და „ბორჯომს" მალე შეუშვებენ რუსეთში.

რუსეთ-საქართველოს საზღვარი სადღეღამისო გახდება

ურთიერთობა 7,00-დან 19,00-მდე

მიმდინარე წლის იანვარში საანგარიშო პალატამ მთავრობაში გაგზავნა ანგარიში საკონტროლო-გამტარ პუნქტ „ზემო ლარსის" მუშაობის შესახებ. მასში ნათქვამია, რომ შარშან პუნქტი დატვირთული იყო ავტომობილების ნაწილში 76 პროცენტით და ფიზიკურ პირთა ნაწილში — 9 პროცენტით. ამ დროს 2010-2011 წლებში მუშაობა საშტატო რეჟიმში (1 მარტიდან 1 სექტემბრამდე — 6.00-დან 22,00-მდე, — 1 ნოემბრიდან პირველ მარტამდე — 7,00-დან 19.00-მდე) საშუალებას იძლეოდა გვემუშავა რიგების გარეშე.

ამჟამად კი, საანგარიშო პალატის მოხსენების თანახმად, საკონტროლო-გამტარი პუნქტის წინ დილის საათებში გროვდება ავტომობილები რუსეთიდან, საღამოობით — რუსეთში შესვლისთვის. ამ დროს აუდიტორებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამიერიდან სიტუაცია უფრო უარესი იქნება, — ესე იგი, ელოდებიან ვაჭრობის ლიბერალიზაციას რუსეთსა და საქართველოს შორის.

„ავტონაკადების არსებითი გადიდება მოსალოდნელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანზიტის შეზღუდვის გაუქმების შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიის გავლით და რუსეთში საქონლის შეტანით, — ნათქვამია ანგარიშში, რომელსაც ხელს აწერს საანგარიშო პალატის ხელმძღვანელი სერგეი სტეპაშინი. — შექმნილი სიტუაცია გადაწყდება საკონტროლო-გამტარ პუნქტ „ზემო ლარსის" მუშაობის სადღეღამისო რეჟიმზე გადასვლით, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ გამტარუნარიანობა თითქმის ორჯერ".

მესაზღვრეები ადასტურებენ, რომ საზღვრის 24 საათიანი რეჟიმი ამ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელია და იმედი აქვთ, რომ ეს მოხდება წელს.

— შარშან ჩვენ შევთავაზეთ გაგვეხადა „ზემო ლარსის" მუშაობა სადღეღამისო. 2012 წელს ავტომობილების ნაკადი ამ პუნქტის მიხედვით თითქმის გაორმაგდა — შედეგად შარშან საზღვარი გადაკვეთა დაახლოებით ორმა მილიონმა ავტომობილმა. 2012 წლის დასაწყისში საქართველომ გააუქმა ვიზები რუსეთელებისთვის — დაიწყო მეტი მიმოსვლა, — გვიამბობს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახურის უფროსი ჩრდილოეთ ოსეთში — ალანიაში ალექსანდრ სოლოდი. — საკონტროლო-გამტარ პუნქტ „ყაზბეგში" მხარს უჭერენ წინადადებას სადღეღამისო მუშაობის შესახებ, დიდადაა დაინტერესებული ამით სომხეთიც — მისთვისაც ეს ერთადერთი საავტომობილო გზაა რუსეთში.

როგორც რუსეთის საზღვრის პრესსამსახურში გვაცნობეს, „ზემო ლარსი" მზად არის იმუშაოს სადღეღამისოდ მთელი წლის განმავლობაში.

საქართველო ჯერჯერობით წინააღმდეგი არ არის

ქართველი ჩინოვნიკები ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ არ არიან წინააღმდეგი სასაზღვრო პუნქტის სადღეღამისო რეჟიმისა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ადგილობრივი მთავრობის დონეზე.

— რაც მეტი საქონელი შემოვა საზღვრის გავლით, მით მეტი იქნება საქონელბრუნვა, მით გაიზრდება ბიზნესინტერესი, მით უკეთესი იქნება ეს ერთმნიშვნელოვნად ჩვენი ეკონომიკისთვის, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პარლამენტის ეკონომიკის დარგისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ.

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამჟამად ტრანსპორტის გადაადგილებაში შეზღუდვები განპირობებულია, უმეტესწილად, ბუნებრივი პირობებით.

არაფერი პირადული, უბრალოდ, ქართული და სომხური ბიზნესი

შვიდი წლის წინათ რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა საქართველოდან კვების პროდუქტების მთელი ასორტიმენტის იმპორტირება, ზომები დაემთხვა ქვეყნებს შორის პოლიტიკურ გამწვავებას. 2006 წელს რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობამ შეზღუდა მცენარეული პროდუქციის (მწვანილი, ხილი, ბოსტნეული) შემოტანა საქართველოდან ხარისხის სერტიფიკატების უქონლობის გამო, შემდეგ კი აკრძალა ქართული ღვინოებისა და „ბორჯომის" იმპორტიც.

ყველაზე მდიდარი ქართველი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც შემოდგომაზე თავის პარტიასთან ერთად გაიმარჯვა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, და მისი გარემოცვა არ ჩქარობენ ისაუბრონ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე, რაც შეწყდა 2008 წლის სექტემბერში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომის შემდეგ. მაგრამ ივანიშვილი, ამჟამად პრემიერ-მინისტრი, აცხადებდა, რომ აუცილებელია „უახლოეს პერიოდში აღვადგინოთ სავაჭრო და კულტურული კავშირურთიერთობანი" რუსეთთან.

როგორც პოლიტოლოგი იგორ გვრიტიშვილი აღნიშნავს, შარშან საქონლის ნაკადი „ზემო ლარსის" გავლით გაიზარდა ძირითადად მოწოდებების ხარჯზე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან — „ქართველებს ხომ რუსეთის ვიზებს პრაქტიკულად არ აძლევენ". გვირტიშვილის სიტყვებით, „ლარსი" არსებითად გაიხსნა —2010 წელს სომხეთის მხრიდან თხოვნით, ვისთვისაც საქონლის მიწოდება რუსეთში ზღვის გავლით არახელსაყრელია, თანაც ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში გზების ხარისხი გაუმჯობესდა.

მოლაპარაკება რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობასა და სასოფლო-სამეურნეო დელეგაციას შორის საქართველოდან უნდა გაიმართოს მოსკოვში 4 თებერვალს.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

დავოსის შედეგები: „განაჩენი" რუსეთს, მეოთხე სცენარი მისი ეკონომიკისთვის და მედვედევის „ყველაზე სუსტი ადგილები"

მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა მოგვიწოდა არ მოვახდინოთ ინვესტირება რუსეთში, რომლის ეკონომიკაც ინგრევა პუტინის მცდარი კურსის გამო. რუსეთის ფედერაციის ექსპერტები არ ჩქარობენ დაეთანხმონ ამ აზრს, თუმცა, მიუთითეს, თუ რაშია ზუსტად მართალი ამერიკელი ფინანსისტი. ქვეყანას სჭირდება ოპტიმისტური სცენარი და უნდა დავიწყოთ „ჩინოვნიკების ცემა-ტყეებით", გვირჩევს ცნობილი იურისტი.

* * *

პოლონსკიმ დააბნია რუსი კონსული საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვისთვის გაგზავნილი საბარალდებო წერილით: „მოსკოვიდან დიდი ფული გადაიხადეს"

რუსმა ბიზნესმენმა, რომელიც კამბოჯაში დააპატიმრეს, მისწერა მორიგი წერილი თანამემამულეებს კონსულთან დიდი ხნის მოლოდინე შეხვედრის შემდეგ. დიპლომატი, სერგეი პოლონსკის სიტყვებით, მასთან იყო უკიდურესად გულწრფელი: აღიარა, რომ მოსკოვიდან მას გადაუხადეს „სამი წლისთვის პროლონგაციით" და რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო მის შემთხვევაში უსუსურია.

* * *

ორტონიანი საბჭოთა თანამგზავრი შეიძლება ჩამოვარდნილიყო კანადის ალმოსავლეთში

„კოსმოსი-1484", რომელიც 30 წლის წინათ გაუშვეს ბაიკონურის კოსმოდრომიდან, შემოვიდა ატმოსფეროში 6 საათსა და 27 წუთზე ორშაბათს ღამით მოსკოვის დროით. კოსმოსური აპარატი გათვალისწინებული იყო დედამიწის ბუნებრივი რესურსების შესწავლისთვის, მაგრამ მისიის შესრულებაში მას ხელი შეუშალა უწესრიგობამ სისტემაში. ასეთი გაბარიტული კოსმოსური ნაგვის დაცემა პლანეტაზე არ შეიძლება მოხდეს უკვალოდ, წინასწარმეტყველებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

* * *

ირანის ურანის გამამდიდრებელ საკვანძო კომბინატში ბისმა ძლიერი აფეთქების ხმა, გმაშინებს ისრაელის დაზვერვა

აფეთქების შესახებ პირველი ინფორმაცია გაავრცელა ამერკიულმა გამოცემამ, რომელიც მიუთითებდა ყოფილ მზვერავზე ირანში. პორტალი იტყობინებოდა, რომ ასაფეთქებელმა ნივთიერებებმა გაანადგურა ბირთვული დანადგარი ფორდოში. დაანგრია მიწისქვეშა ნაგებობანი და დაბლოკა იქ ათობით ადამიანი. ოფიციალურად ირანში ამ ინფორმაციას უარყოფენ, ამავე დროს მათ დააწესეს კონტროლი მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ საშუალებებზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შაბათ-კვირის ჩანაწერები

გენის სიდიადე

აუუუ... რა დრო გასულა! – ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ვნახეთ მისი პირველი ფილმი, მოკლემეტრაჟიანი „მიქელა“. დავით კლდიაშვილს, მოგვიანებით, კვლავ მიმართავს იგი – „სამანიშვილის დედინაცვალს“ გადაიტანს ეკრანზე. ამ დროს უკვე სახელმოხვეჭილია ელდარ შენგელაია, ამ დროს უკვე გაბრწყინებულია შენგელაიების და ანდრონიკაშვილების გენი – ქართული კინემატოგრაფი დიდი იმედით შეჰყურებს ნიკოლოზ შენგელაიასა და ნატო ვაჩნაძის ვაჟიშვილებს – ელდარსა და გიორგის... ორივემ გაამართლა ეს იმედი... დღეს უკვე ერთ-ერთი ძმა – უფროსი ელდარი 80 წლისაა – დამაშვრალი, ვალმოხდილი თავისი გენისა და ჯიშის, თავისი ქვეყნის წინაშე უკვე ერთობ გამორჩეული სიმაღლის („არაჩვეულებრივი გამოფენის“, „შერეკილების“, „ცისფერი მთების“ ავტორი!) შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე... ბედისწერისგან უსაშველოდ დაჩაგრული, სევდა-ნაღველმოძალებული, მაგრამ მაინც ირონია-იუმორშერჩენილი, რომელსაც, ალბათ, კვლავაც გამოიყენებს იგი თავის მომავალ ფილმებში, რომელთა გადაღებასაც, ღმერთის წყალობით, აპირებს.

გასულ შაბათს ბატონი ელდარ შენგელაია „ბრწყინვალების ორდენით“ დაჯილდოვდა. ეს ბრწყინვალება რას მივა მისი შემოქმედების ბრწყინვალებასთან.

დაბადების 80 წლისთავს გილოცავთ, ბატონო ელდარ, იცოცხლეთ!

„როდის დაამთავრებს ეს ხელისუფლება „ჩუკუნებას“?!

ჩავრთე ტელევიზორი...

იდგა ჩვენი პატივცემული ქალაქის მერი თბილისის ერთ-ერთ უბანში, ახალ ხელისუფლებას, ჩვეულებრივ, რაღაც-რაღაცებში სდებდა ბრალს, თათხავდა, კიცხავდა... ბოლოს კი „მონოლოგი“ ასე დაასრულა: „როდის დაამთავრებს ეს ხელისუფლება „ჩუკუნებას“?!

ვაიმე!.. ახლა გავიჭედე!.. ეს „ჩუკუნება“ რაღაა?! აბა, ვნახოთ, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. ა, ბატონო: „ჩუკუნება“ – **„ონანიზმი“**... ყოჩაღ გიგი! კაი, კაი სიტყვები მოგიმარაგებია ამ „ოპოზიციონერობის“ ჟამს. რაღაცა, ამ ბოლო დროს, ახალმა ხელისუფლებამ მიანელა მერიის საქმიანობით დაინტერესება და შენც ენა ვაგლახად ამოიდგი. ფრთხილად, ვეჟო, სიტყვას დაუკვირდი, „მეოცნებეებს“ არ სძინავთ! ისე, სახლში მისულს, არავინ შეგეკითხა, „ჩუკუნება“ რას ნიშნავსო?!

ბედი – დევნილის, ბედი – ბუნებისგან დასჯილის

ეს კაცი აფხაზეთიდანაა დევნილი. უკვე ვიცნობთ, ჩვენს უბანში ყოველ დილით, თონედან გამოტანილი ლავაში დააქვს ჩანთით და მარკეტებს ურიგებს, წვალობს, ჯახირობს, როგორც ვიცით, ცოლ-შვილით გლდანშია, სადღაც, შესახლებული. მხვდება კვირა დილით, მაჩერებს, ხელს მართმევს და მეკითხება: „რა აზრისა ხართ იმაზე, ლაგოდეხში გზა რომ გადაუკეტიათ სტიქიით დაზარალებულებს?!“

„აბა, რა გითხრათ, ცოტა სამარცხვინო ამბავია“, – ვამბობ მე.

„კაცო, რაშია საქმე, ძმაო! მე ოცი წლის წინათ ცაგერაში სახლ-კარი გადამიწვეს, ძლივს გამოვასწარი იმ ურჯულოებს მშობლებითა და ცოლ-შვილით, ავ თვალს არ ენახვებოდა, ისეთი კარ-მიდამო დამატოვებინეს და ახლა თბილისში ვარ სამოწყალოდ თავშეფარებული, რაღაც კაპიკებს რომ გვაძლევენ დევნილებს, იმის გარდა არაფერი მახსოვს ხელისუფლებისგან და ესენი რა დღეში არიან! ბუნებამ დააზარალა ძმაო, სეტყვა იყო თუ ქარიშხალი, იმან გადაიარა მოსავალზე და ამ მთავრობას რას ეძალებიან ნეტავი?! იმას რომ მიეცი იმდენი, მე რატომ მომეცი ნაკლებიო!.. რა გულზე არიან, რაც მოგცეს, დაჯერდი!.. შარშან თუ ბუნებამ აზარალა, წელს, იქნებ, უხვი მოსავალი მიიღოს! სამადლოდ, ნაცნობი კაცია თონის გამგე, პატივი მცა და ყოველ დილით ასე დავატარებ ლავაშს მარკეტებში და რესტორნებში, რომ ათი თეთრი დამრჩეს!.. ამათ არ უყურებ, კაცო?!“.

ნამეტანი გაუცხარებია ეს წესიერი კაცი ზოგიერთი დაზარალებულის ქცევას და, ალბათ, მართალიცაა.

„მე თუ მკითხავ, ჩემო ძმაო, ამაზე უნდა ეფიქრა მთავრობას, ხალხი ჭრელია, ზოგმა, მართლაც იხეირა იმ სტიქიით, ზოგი – დაიქცა. ერთი ახალგაზრდა ქალი ტიროდა ტელეეკრანზე, ჩემი მეზობელი, ზოგი, დახმარების ფულით მანქანას ყიდულობს, მე კი საჭმლის ფული არ შემხვდაო... ალბათ, ყველასთვის ერთნაირად უნდა მიეცათ და, შეიძლება, არ ყოფილიყო ასეთი ვაიუშველებელი“.

„გეთანხმები, უკეთესი იქნებოდა!.. მაპატიე, გაგაჩერე ამდენ ხანს“, – მიბოდიშებს დევნილი მეპურე და თავის გზას განაგრძობს.

ჩახალიანის დაშინებული ქართველი მეტის ღირსია!

იშოვეს საქაქანო მიშამ და მისმა „შანტრაბამ“ – ჯავახეთის ავტონომიისთვის მებრძოლი ჩახალიანი, რატომ გაუშვეს ციხიდან, თავიდან დაიწყებს თავის მზაკვრულ საქმიანობასო.

რა ვქნათ ახლა?! სამცხე-ჯავახეთი და, კერძოდ, ახალქალაქი, კარგა ხანია „დაისაკუთრეს“ სომხებმა, ჩვენ კი ვაი-ვიშის მეტს არაფერს ვაკეთებთ. ის გვგონია საქმე, ხანდახან, ვინმე, იქ რომ ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ჩაიტანს (წამკითხველი არავინაა), ანდა, ადგილობრივი მთავრობა, ვითომ საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერი, ვინმეს საკონცერტოდ მიიწვევს... შევეჩვიეთ: ისინი თავისთვის არიან, ჩახალიანითა და მისთანებით აჩმახებენ, ჩვენ კი, ამ მრავალწლიანი, უსერიოზულესი პრობლემის „სამკურნალოდ“ ვერაფერი გვიღონია.

უცნობია, ჰქონდა თუ არა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, სომხეთში ვიზიტის დროს, იქაურ ხელისუფლებასთან საუბარი ამ საკითხზე, „ჯავახკის“ თუ გავახკის ანტიქართულ მოქმედებებზე, თუ არა და, რაღაც ფორმით, ეს აუცილებელია! უბედურ ჩახალიანს ამნისტია შეეხო და რა გვექნა?! მას და მისნაირებს მოევლებათ, თუ ჩვენ საქვეყნო საქმედ გადავაქცევთ ჯავახეთის რეგიონში შექმნილ მდგომარეობას. ბოლოს და ბოლოს, დავინახოთ, რა ყოფა გვიტირა „ინტერნაციონალისტობამ“, „ტოლერანტობამ “...

აღარ დაგვრჩა სხვებისთვის გასაცემი მიწა-წყალი, ქართველებო!

ვილენ მარდალეიშვილი

დაფასება

წარდგენილია ნობელის პრემიაზე

კავკასიის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის მრავალწლიანი მოღვაწეობისათვის 2013 წლის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარდგენილია „კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის“ თავმჯდომარე, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორი, პროფესორი გივი ღამბაშიძე.

ნორვეგიის ნობელის ინსტიტუტში ბატონი გივი ღამბაშიძის კანდიდატურა წარადგინა 8 ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ისრაელი, პოლონეთი) ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და მეცნიერებმა.

„კავკასიის ფონდის“ პრესსამსახური

სტიქიის გამოძახილი

რაც მეტია კომპენსაცია, მით მეტია პროტესტი

(მესამე გვერდიდან)

მისი თქმით, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში აპარატის უფროსის და გამგებლის მოადგილის პოზიციაზე მუშაობენ ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში წინა ხელისუფლებასთან და კერძოდ კი, ბოტკოველთან ერთად სხვადასხვა ტიპის ქმედებებში მონაწილეობდნენ, რაც ადამიანთა დაშინებასა და მათი უფლებების შეზღუდვას უკავშირდება.

„მივმართავ თელავის გამგებელს, ყურადღებით შეისწავლოს და გადახედოს საკადრო პოლიტიკას და, ასევე, მივმართავ გუბერნატორის მოადგილეს ბატონ ბოტკოველს, ახლა მაინც სამართლებრივ ჩარჩოებში იმოქმედოს და მასზე დაკისრებული მოვალეობები შეასრულოს“, – განაცხადა ჯორჯაძემ.

ფონდი „ქართუს“ აღმასრულებელი დირექტორი ნიკო ჩხეტიანი კი აბსურდულს უწოდებს კახეთის მოსახლეობის იმ ნაწილის ბრალდებებს, რომელიც კომპენსაციების მიმღებთა სიის გარეთ დარჩენას აპროტესტებს. მისი განმარტებით, თავად ფონდმა 2700-კაციანი სია მხოლოდ ორშაბათს მიიღო და დაზარალებული მოსახლეობის ნაწილი იმ დღეს, როცა აქციები გაიმართა, ამ სიებს ფიზიკურად ვერ ნახავდა.

ფონდ „ქართუს“ აღმასრულებელი დირექტორი არ გამორიცხავს, რომ აქციები, შესაძლოა, ხელოვნურად მართული ყოფილიყო. მისივე თქმით, სიაში მოხვედრის კრიტერიუმები არა „ქართუს“, არამედ სახელმწიფო სტრუქტურების, კერძოდ, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან დადგინდა და მას სპეციალისტები დაახლოებით 2 თვის განმავლობაში ადგენდნენ.

„ამ დროისთვის ფონდის მხრიდან 2700 ბენეფიციარზე 10 მილიონი ლარი გადაირიცხა და დაზარალებული მოსახლეობის სახელზე ბანკმა „ქართუმ“ ანგარიშები 2 დღეში გახსნა. ამ თანხებიდან ზოგმა ოჯახმა, შესაძლოა, 8000-ლარიანი ან 13000-ლარიანი კომპენსაციები მიიღოს. ეს ყველაფერი ინდივიდუალურად მიყენებული ზარალის მიხედვით განისაზღვრება“, – აცხადებს ჩხეტიანი.

ეკა ბაქრაძე

ინფორმაცია

გამოსაშვები გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვები გამოცდები 4+4 მოდელით, ორ ეტაპად ჩატარდება, - ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძემ სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, კონკრეტულ საგანში გამოცდის ფორმის არჩევისა და საგამოცდო განრიგის საკითხების შესახებ გადაწყვეტილებას თავად სკოლა მიიღებს. – „2013 წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი 2013 წლის 15 თებერვლიდან 1-ელი მარტის ჩათვლით გაიმართება. იმ ოთხ სასწავლო დისციპლინაში, რომლებიც მოსწავლეებს დასრულებული აქვთ. ეს არის გეოგრაფია და საბუნებისმეტყველო დისციპლინები, ხოლო მეორე ეტაპი 2013 წლის 20 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით ჩატარდება, – განმარტა გოგლიჩიძემ.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე გასულ მოსწავლეებს, რომლებიც მინიმალურ სტანდარტს ვერ დაძლევენ, საშუალება ექნებათ, რომ სასკოლო გამოცდები მეორე ეტაპზე მაისის თვეში ჩააბარონ. ამასთან, გამოცდების ჩაბარების უფლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს და იმ პირებს ექნებათ, რომლებმაც სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევის მიუხედავად, შესაბამის წელს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ მოიპოვეს. პირი, რომელმაც სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევის მიუხედავად ვერ, ან არ ჩააბარა გამოცდები, მხოლოდ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რეგისტრირდება, რომელშიც სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაძლია. ასეთ მოსწავლეებს უფლება აქვთ, პირველ ეტაპზე ყველა დამამთავრებელი 8 გამოცდა ჩააბარონ. სამინისტროს ინფორმაციით, მოსწავლეებისა და ექსტერნების ინფორმირებასა და გამოცდებზე რეგისტრაციას სკოლა უზრუნველყოფს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ობიექტის დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას N 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საძიებო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი: სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოლის მიმდებარე ტერიტორია, „ფონი II"-ის ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C1, მისაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 17 700 მ³).
7	საძიებო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოლის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	2 373 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	237,3 ლარი
10	უფასო და გამოუსაბმელი სამანეთი გარანტიის/ზეგ თანხის ოდენობა – 200 ლარი საფიზიკური მოსაკლებელი	675 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი: იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განრიგისაებრ უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში

ობიექტი № 2	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ობიექტის დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას N 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საძიებო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი: სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუნესის მიმდებარე ტერიტორია. მდ. არაგვი „არაგვისპირის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C1+C2 მისაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 100 200 მ³).
7	საძიებო ობიექტის ადგილმდებარეობა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუნესის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	13 435 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 343,5 ლარი
10	უფასო და გამოუსაბმელი სამანეთი გარანტიის/ზეგ თანხის ოდენობა – 200 ლარი საფიზიკური მოსაკლებელი	2 887 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განრიგისაებრ უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში

ობიექტი № 3	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ობიექტის დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას N 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საძიებო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი: სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირიღელის მიმდებარე ტერიტორია. მდ. ჭიბურისა და მდ. ფალიოლის შესართავთან ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მისაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 20 400 მ³).
7	საძიებო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირიღელის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	2 735 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	273,5 ლარი
10	უფასო და გამოუსაბმელი სამანეთი გარანტიის/ზეგ თანხის ოდენობა – 200 ლარი საფიზიკური მოსაკლებელი	747 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განრიგისაებრ უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში

ობიექტი № 4	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ობიექტის დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას N 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საძიებო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი: სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავების დრის მიმსინელი ნიადაგის ფენა უნდა დაიყაროს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაგალი პიქსოსტეოული ნიმუნებიდან დაწყებულად. ქვიშიანში მიეცემა სამაო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვა. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყანდაღის მიმდებარე ტერიტორია, „ფაჩაღბის" კარიერი (მისამართი/ფიზიკურ გამოყენება ეკატეგორია - P, მისაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 80 000 მ³).
7	საძიებო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყანდაღის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უფასო და გამოუსაბმელი სამანეთი გარანტიის/ზეგ თანხის ოდენობა – 200 ლარი საფიზიკური მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განრიგისაებრ უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში

ობიექტი № 5	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ობიექტის დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას N 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საძიებო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი: სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს სამაო საქმის ჩაბარებისათვის მიღებული უსაფრთხოების წესებისა და წესების დაცვით. ბ) ობიექტის დამუშავების დრის ნიადაგი და ფენა ქანი უნდა დასაყაროს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავების შემთხვევაში შეიტანოს უნდა იქნას მეხანძრეს ობიექტური ხიდიდე, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს აფეთქებისგან გამოწვეული ნეგატიურ მოვლენებს. დ) დაცული იქნეს საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თეთრაწყაროს მიმდებარე ტერიტორია, „ხანგაბის" კარიერი (სამაო ქვიშა) ხანგრძლივი (ეკატეგორია - B+C1, მისაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 25 200 მ³).
7	საძიებო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თეთრაწყაროს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	6 021 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	602,1 ლარი
10	უფასო და გამოუსაბმელი სამანეთი გარანტიის/ზეგ თანხის ოდენობა – 200 ლარი საფიზიკური მოსაკლებელი	1 404 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დასრულების დრო და თარიღი	და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13 სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14 სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განაწილებელია უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 6	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების საპრესტიჟოს ს.ს.ი.ა ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3 ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 საალიცენზიო ბირობები და მოთხოვნები კონკურენციული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიათა გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის პოტენციების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი ბირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შიერ დადგენილი მოთხოვნები.
6 სარგებლობის ლიცენზიის კონკურენციული ობიექტი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარაოღლის მიმდებარე ტერიტორია. მდ. მტკვარზე „ყარაოღლის“ ჭიშა, ხრეების გამოვლინება (ფაქტორია - P, მოსაძებნელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 62 400 მ³).
7 საალიცენზიო ობიექტის აგებულებრივი ერთეული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარაოღლის მიმდებარე ტერიტორია
8 აუქციონის საწყისი ფასი	8 367 ლარი
9 ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	836,7 ლარი
10 უმირობი და გამოუსმობი 'საბანკო გარანტიის'ზეს თანხის ოდენობა – 200 ლარი საალიცენზიო მისაკუთრებელი	1 873 ლარი
11 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12 აუქციონის დაწყება და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13 სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14 სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განაწილებელია უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 7	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების 'საპრესტიჟოს ს.ს.ი.ა ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3 ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 საალიცენზიო ბირობები და მოთხოვნები კონკურენციული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობილობათა საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა 'ახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქციონირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ღუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქციონირებული) ჩარევისაგან, რათა არ მიიცეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აქვლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დანტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ღუქის დადება და შესაბამისი აქტის შედგენა ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმირთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყლის დაკვანძვა; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიათა გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის პოტენციების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) უნდა განხორციელდეს №1 ჭაბურღილის შემოწმება; ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 'ხით ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შიერ დადგენილი მოთხოვნები.
		დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდინარე ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტინისხიდის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 21 900 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტინისხიდის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	708 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	70,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიისთვის თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	342 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 23

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ლიცენზიის სახე	
5	საღიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დაიაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიათა გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გორგაბრის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორია, „გამარჯვების" (I და II უბანი) ოთხ თაბაშირის (გაჯი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსალოდნელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 183 014 ტ.).
7	საღიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გორგაბრის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უფასოდ და გამოცხადება 'ანგარიშის გარანტიის'ზეს თანხის ოდენობა – 200 ლარი საღიცენზიო მოსაკრებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 'საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 'საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განარეკვევალია უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 24	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ორგანის დასახელება	საქართველოს ეროვნული ბანკი და ბუნებრივი რესურსების 'ამინისტრის ს.ს.ი.ა ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ელფოსტა	ქ. თბილისი გ.გელოვანის № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საღიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მინერალური ნედლეულის ფრაქციებად დაფენილი ნაგავსაყრელი ბუნებრივი ადგილსამყოფელის ფარგლებიდან ეტაპობრივად, ეკოლოგიურ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანილ, ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებულ, ეკოლოგიურ ექსპერტიზადადებულ, ეროვნული ეკონომიკურ ეფექტიანობის მქონე, ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ეკონომიკური

		და შესაბამისი კანონმდებლობა ან/ და აუქციონზე დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკურენციული ობიექტი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. სკვავის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე „სკვავის“ ჭიმა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 399 300 მ³).
7	საღიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. სკვავის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	53 541 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	5 354,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი „სამანო გარანტიის“-ზეს თანხის ოდენობა - 200 ლარი საღიცენზიო მოსაკლებელი	10 908 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მ/ადებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყება და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განარგებელმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 28		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.ა ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ელ.ფოსტა	ქ. თბილისი გ.გელოვანის № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საღიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკურენციული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) აკრძალულია ფენჭი ქვის ჩაყრა მდ. ნეგვის კალაპოტში და მისი დაბინძურება. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკურენციული ობიექტი	ქ. თბილისი, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 17 400 მ³).
7	საღიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	2 333 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	233,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი „სამანო გარანტიის“-ზეს თანხის ოდენობა - 200 ლარი საღიცენზიო მოსაკლებელი	667 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მ/ადებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყება და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განარგებელმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 29		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.ა ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ელ.ფოსტა	ქ. თბილისი გ.გელოვანის № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საღიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკურენციული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკურენციული ობიექტი	ქ. თბილისი, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - C2, მოსაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 53 400 მ³).
7	საღიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	7 160 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	716,0 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი „სამანო გარანტიის“-ზეს თანხის ოდენობა - 200 ლარი საღიცენზიო მოსაკლებელი	1 632 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მ/ადებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყება და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განარგებელმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 30		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.ა ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ელ.ფოსტა	ქ. თბილისი გ.გელოვანის № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საღიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკურენციული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკურენციული ობიექტი	ხიდნადის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქკენი მაღარის მიმდებარე ტერიტორია, „ქკენი მაღარი“-ს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 98 000 მ³).
7	საღიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხიდნადის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქკენი მაღარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	14 917 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 491,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი „სამანო გარანტიის“-ზეს თანხის ოდენობა - 200 ლარი საღიცენზიო მოსაკლებელი	3 183 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მ/ადებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყება და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განარგებელმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 31		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.ა ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ელ.ფოსტა	ქ. თბილისი გ.გელოვანის № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	საღიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკურენციული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ექსპლუატაციის დრის გათვალისწინებული უნდა იქნეს ხევის ფერდოზეული ხასიათი და ნიადაგის ჰერიოდულობა. ბ) ექსპლუატაციის დრის გათვალისწინებული იქნეს ობიექტის სიახლოვეს, მდინარის დინების მიმართულებით, 300 მეტრში არსებული სარკინიგზო ხიდი და უნდა გამორიცხის მასზე უარყოფითი ზემოქმედება. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობა, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკურენციული ობიექტი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორია, „ბალაჯანის-ხევი“-ს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - ?, მოსაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 70 800 მ³).
7	საღიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 777 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 077,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი „სამანო გარანტიის“-ზეს თანხის ოდენობა - 200 ლარი საღიცენზიო მოსაკლებელი	2 355 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მ/ადებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყება და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 1 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 1 მარტს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა განარგებელმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კალათბურთი

შსს-მ ოცნება აისრულა

საქართველოს ეროვნულ თასს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდის სახით ახალი მფლობელი ჰყავს.

სპორტის სასახლეში გამართული ფინალური მატჩი გეორგიოს კეცელიდისის შეგირდებმა დრამატულ ბრძოლაში მოუგეს საკანდელიძე-ქორქიას ამასწინანდელი მემორიალის გამარჯვებულ „ოლიმპს“ – 79:69 (ძირითადი

დრო – 58:58) და სამწლიან ბიოგრაფიაში პირველი ტიტული მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ვონის (27 ქულა) ძალისხმევით ძალოვნები უკანასკნელი პერიოდის წინ 13 ქულით დაწინაურდნენ – 49:36, მაგრამ, ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალეს და კინაღამ დაისაჯნენ – ლიტველი ლეგიონერის ანდრიუკაიტისის სამქულიანით (მან სულ 19 ქულას მოუყარა თავი) სპორტის სამინისტროს კლუბმა თამაში დამატებით დროში გადაიყვანა, თუმცა იქ ვეღარაფერს გახდა.

დავძენთ, რომ ეს გახლდათ შსს სამინისტროს წარმომადგენელთა მეშვიდე ფინალი სხვადასხვა ტურნირებში და პირველი წარმატება.

შეგახსენებთ, რომ განვლილ ათ გათამაშებაში ყველას აჯობებს „თბილავიამშენმა“ (ორჯერ), „არმიამ“ (ორჯერ), ბათუმის „ბასკომ“, თბილისის „დინამომ“, სტუმ, თსუ-მ, რუსთავის „ენერჯი ინვესტმა“ და „სასოფლომ“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭიდაობა

ახალგაზრდა „კლასიკოსებს“ „არენამ“ უმასპინძლა

წლეულს 2-7 ივლისს მაკედონიური სკოპიე ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს, 13-18 აგვისტოს სოფიაში მსოფლიოს პირველობა გაიმართება. ამ შეჯიბრებებისთვის მზადებას და საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვის შერჩევას მიეძღვნა სპორტკომპლექს „არენაში“ მოწყობილი ახალგაზრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ქვეყნის პირველობა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებმა იასპარეზეს.

თავიდანვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის (პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე) ძალისხმევით ტურნირი ორგანიზებულად ჩატარდა, მასპინძლებმა შეჯიბრების გახსნის ცერემონიალიც კი შემოგვთავაზეს საქართველოს ჰიმნითა და დროშის აწევით, რაც შინაურ პირველობებში იშვიათად გვინახავს. რაც შეეხება პაექრობებს, ამჯერადაც აჭარელმა „კლასიკოსებმა“ იყოჩაღეს. იგრძნობოდა გარდაბნელი და სენაკელი ფალავნების წინსვლაც. საგულისხმოა, რომ სენაკელები ორი ოქროთი დაბრუნდნენ შინ. კვარცხლბეკზე უმთავრესად ფავორიტები ავიდნენ, თუმცა, თვალშისაცემი იყო ჭაბუკთა მოძალებაც, რაც სასიამოვნოა – კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ქართულ ჭიდაობას ღირსეული ცვლა ეზრდება.

ახლა კი ორდღიანი ბრძოლების შედეგად გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

კვარცხლბეკი

50 კგ. 1. ირაკლი შავაძე (აჭარა), 2. დავით სანიკიანი (ქუთაისი), 3. დავით ჩხარტიშვილი (ოზურგეთი), კახა ირემაძე (აჭარა).

55 კგ. 1. ედნარ შავაძე, 2. რამაზ ზოიძე (ორივე – აჭარა), 3. ბექა ბალანჩივაძე (წყალტუბო), ირაკლი ქადაგიშვილი (თბილისი).

60 კგ. 1. ხვიჩა ჭითავა (სენაკი), 2. რამაზ სურმანიძე, 3. მურად მიქელაძე (ორივე - აჭარა), ლაშა მარიამიძე (თბილისი).

66 კგ. 1. ფირუზ წულუკიძე, 2. შმაგი ბოლქვაძე, 3. ამირან შავაძე (სამივე – აჭარა), ლაშა ებელაშვილი (გარდაბანი).

74 კგ. 1. ლაშა გობაძე, 2. ტარიელ კეკელაშვილი (ორივე – აჭარა), 3. ზეზვა აბრამაშვილი (გარდაბანი), დავით კუჭაშვილი (ოზურგეთი).

84 კგ. 1. რობერტ ქობლიაშვილი, 2. ლევან ყუფარაშვილი (ორივე – გარდაბანი), 3. აკაკი კანდელაკი (თბილისი), ირაკლი კოვზირიძე (წყალტუბო).

96 კგ. 1. კუკური კირცხალია (სენაკი), 2. ბექა კანდელაკი, 3. ლაშა შალიკაშვილი (ორივე – თბილისი), ნუკრი ფერსელიძე (აჭარა).

120 კგ. 1. იაკობ ქაჯაია (წყალტუბო), 2. ზურაბ გედეხაური (გარდაბანი), 3. ზურაბ პატარიძე, გიორგი გულბიანი (ორივე – ქუთაისი).

ლექსო ცინცაძე

◎ დარბაზბურთი

გადავრჩით!

საქართველოს დარბაზბურთის ნაკრებმა წარმატებით დაძლია მალტაში დასრულებული 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი და 27-30 მარტს ჰოლანდიაში ელიტ-რაუნდში მასპინძლებთან, ჩეხებთან და ბელარუსებთან ერთად იბრძოლებს ფინალური ასპარეზობის საგზურის დასაუფლებლად.

უკვე გაუწყეთ, რომ სტარტზე კუნძულელთა განადგურების (9:0) შემდეგ ავთანდილ ასათიანის შეგირდები მოლდოველებს დაუზავდნენ – 5:5, რამაც მათი გამარჯვება სათუო გახადა. საბედნიეროდ, „ჯვაროსანთა“ მეტოქეთა შეხვედრა ექსსაბჭოელებმა მხოლოდ 4:1 მოიგეს, რამაც უპირატესობა ბურთების შეფარდებით ჩვენს გუნდს მიანიჭა.

მადლობა მალტას ბოლომდე პატიოსანი ბრძოლისათვის!

გიორგი შოთაძე

◎ ფიგურული ციგურაობა

მე-14 ადგილს დასჯერდა

ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ ელენე გედევანიშვილისთვის კონტინენტის წლევანდელი პირველობა წარუმატებელი გამოდგა. ზაგრებში მან მოკლე პროგრამით მხოლოდ 48,75 ქულა მოაგროვა და მე-16 იყო. მართალია, თავისუფალი პროგრამა უფრო სუფთად შეასრულა, მაგრამ 93,96 ქულით მე-11 ადგილს ვერ ასცდა, ხოლო საბოლოოდ 142,71 ქულით მე-14 ადგილს დასჯერდა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეხუთედ ავიდა იტალიელი კაროლინა კოსტნერი (194,71). გამარჯვებულს მცირედით ჩამორჩა რუსი ადელინა სოტნიკოვა (193,99), რომელიც მოკლე პროგრამით პირველი იყო, თავისუფალი პროგრამით – მესამე, ორი ასპარეზობის ჯამში კი ვერცხლი დაისაკუთრა, ბრინჯაოს მედალი მის თანამემამულე ელიზავეტა ტუკტამიშევას (188,85) ხვდა.

სპორტულ ცეკვებში **ოთარ ჯაფარიძისა** და **ანგელინა ტელეგინას** დებიუტი მე-20 ადგილით დასრულდა.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

სამგზის!

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ნოვაკ ჯოკოვიჩი ზედიზედ მესამედ გახდა ავსტრალიის ღია ჩემპონატის გამარჯვებული. ფინალში სერბმა 4 სეტში სძლია ოლიმპიურ ჩემპიონ ენდი მარეის – 6:7, 7:6, 6:3, 6:2.

გადამწყვეტ ბრძოლამდე გამართულ 6 შეხვედრაში „ნოლემ“ მხოლოდ 3 პარტია წააგო – სტანისლავ ვავრინკასთან (3:2) და ტომაშ ბერდიხთან (3:1), ხოლო მისმა შოტლანდიელმა მეტოქემ თვით როჯერ ფედერერს გადაუღობა გზა – 3:2, ასე რომ მელბურნის ცენტრალურ კორტზე მძაფრი დუელი იყო მოსალოდნელი და ეს მოლოდინი გამართლდა კიდეც.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს, აქაც საერთაშორისო რეიტინგის ლიდერმა ვიქტორია აზარენკამ იმძლავრა, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ტემპერამენტიან ბელარუსს ამაში ხელი ჩინელი ნა ლის მიერ სატიტულო პაექრობის მეორე პარტიაში მიღებულმა კოჭის ტრავმამ შეუწყო – 4:6, 6:4, 6:3.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ხელბურთი

ოთხი ფინალისტი ცნობილია

1998-1999 წლებში დაბადებული ხელბურთელებისთვის მეოთხედ იმართება საქართველოს პირველობა. შეჯიბრებაში სხვადასხვა რეგიონის ვაჟთა 19 გუნდი მონაწილეობს. თბილისის ქვეჯგუფში ექვსი გუნდი იბრძოდა ფინალური ეტაპის ოთხი საგზურისთვის. სამწრიან მარათონს ბოლო ტურში გამოაკლდა „აისი“, რომელსაც ხუთივე მეტოქესთან ტექნიკური წაგება (0:10) ჩაეთვალა. დანარჩენი შეხვედრები სპორტკომპლექს „არენაში“ ასე დამთავრდა:

„პეგასი“– „მართვე“30:21, „მერანი“– „შევარდენი“ 26:12,

„შევარდენი“– „პეგასი“4:26, „მართვე“– „კორიდა“25:27,

„მართვე“ – „შევარდენი“ 24:16, „კორიდა“ – „მერანი“ 22:27,

„მერანი“ – „პეგასი“ 29:25, „კორიდა“ – „შევარდენი“ 18:7;

„პეგასი“ – „კორიდა“ 23:23, „მერანი“ – „მართვე“ 24:16.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: „მერანი“ – 10 ქულა (116:74), „პეგასი“ – 7 (114:77), „კორიდა“ – 7 (99:82), „მართვე“ – 4 (96:97), „შევარდენი“ – 2 (49:94), „აისი“ – 0 (0:50). პირველმა ოთხმა გუნდმა ფინალური ეტაპის საგზურები დაიმსახურა.

დღეს შეჯიბრებაში აღმოსავლეთის ქვეჯგუფის გუნდები (თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქარელი, გორი) ჩაებმებიან.

* * *

ესპანეთში დასრულდა ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი. გაუწყებთ დასკვნითი მატჩების შედეგებს. **ფინალი. ესპანეთი – დანია 35:19. შეხვედრა III ადგილისთვის ხორვატეთი – სლოვენია 31:26.**

ლაშა დიდია

◎ სუმო

გორგაძეს დააწინაურებენ

ტოკიოში დასრულდა პროფესიონალ სუმოისტთა წლის პირველი სუპერტურნირი. ჩემპიონი გახდა და იმპერატორის თასი მეხუთედ დაისაკუთრა მონღოლმა ჰარუმაფუჯიმ. დადებითი ბალანსით (9-6) დაასრულა ბაშო მე-6 მაეგაშირა ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე). სავარაუდოდ, მას მეორე შეჯიბრებისთვის მე-2 მაეგაშირად დააწინაურებენ. სამწუხაროდ, დაქვეითდება უარყოფითბალანსიანი მე-4 მაეგაშირა გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი), რომელმაც ამ ტურნირზე ექვსი შეხვედრა მოიგო და ცხრა პაექრობა დათმო.

ვაჟა ნოსირელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ენერგეტიკა

(მეექვსე გვერდიდან)

ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები ჩვენს ეკონომიკას მნიშვნელოვნად წასწევს წინ

ეკოლოგიურად უსაფრთხო იქნება იმდენად, რამდენადაც ეს იქნება უნარჩენო წარმოება. ნედლი ნავთობისაგან მიიღება როგორც ნავთი, ბენზინი, დიზელი, ასევე ადგილზე დამზადდება ბიტუმი (რომელიც მთლიანად იმპორტირებულია), თხევადი აირი (საქართველოს ბევრი რეგიონი არაგაზიფიცირებულია), სხვა საცხებ-საპოხი მასალები და თვით ვაზელინიც კი.

სწორედ ეკოლოგიურ საფრთხეებს იმიზეზებდა წინა ხელისუფლება, როდესაც ეწინააღმდეგებოდა მცირე ზომის ნავთობგადამმუშავებელი საწარმოების აშენებას. აქცენტი კეთდებოდა კახეთის მოსახლეობაზე, რომელმაც თავად იწვნია უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დროს (გასული საუკუნის 91-93 წ.წ.) ნავთობმომპოვებელი ჭაბურღილებიდან მოპოვებული ნედლი პროდუქტის კუსტარულ სახდელებში „დამუშავების“ მწარე გემო. მაშინ კუსტარული წესებით მხოლოდ ბენზინი (მდარე ხარისხის) და ნავთი გამოჰყავდათ. დარჩენილი პირდაპირ მიწაზე ან მდინარეში იღვრებოდა. ამ მხარეს იმ პერიოდმა უდიდესი ეკოლოგიური ზიანი მიაყენა. ნავთობჭაბურღილებზე გავლენისათვის ძირითადად ერთმანეთს „მხედრიონი“ და „გვარდია“ ეცილებოდნენ, რაც არც თუ იშვიათად შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადადიოდა.

ავთანდილ დოლიძის განმარტებით, უნდა აშენდეს 2 მცირე ზომის ქარხანა. ერთი აღმოსავლეთ საქართველოში სუფთა საწვავის სქემით, მეორე დასავლეთ საქართველოში შერეული სქემით: საწვავი – ზეთი. ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები ამ პრინციპით მომგებიანი იქნება იმ თვალსაზრისით, რომ მოხდება მომხმარებლამდე მისი ტრანსპორტირების გზისა და, აქედან გამომდინარე, ღირებულების შემცირება. მომავალში ასაშენებელ ქარხნებს, ექნებათ საშუალება აწარმოონ JET-ი, ანუ საავიაციო ნავთი, რითაც დაკმაყოფილდება საქართველოს ავტოტრანსპორტის მოთხოვნები. ქვეყნის ხელისუფლებას გაუჩნდება შესაძლებლობა, რომ მისი საერთაშორისო ვიზიტები აღარ იყოს დამოკიდებული იმპორტულ საწვავზე.

ექსპერტები გამხოლოებული ნავთობგადამმუშავებელი სიმძლავრეების უპირატესობას იმაშიც ხედავენ, რომ სამხედრო კონფლიქტების, გლობალური ტექტონიკური ან ეკოლოგიური საფრთხეების შემთხვევაში ქვეყანა არ გახდება ისევ იმპორტზე დამოკიდებული.

სპეციალისტები იმედს გამოთქვამენ, რომ ახალი მთავრობა ამ საკითხების გააქტიურებაზე იზრუნებს. ორი მცირე ზომის ქარხანა საწვავის იმპორტს 85 პროცენტით შეამცირებს. საქართველოში მინიმალურად მოსახმარებელი აუცილებელი ნავთობპროდუქტები წელიწადში 1-1,2 მლნ ტონაა, რაც საჭიროებს 2 მლნ-მდე ტონის გადამუშავებას.

ექსპერტები უფრო შორს მიდიან და ფიქრობენ, რომ ნავთობგადამმუშავებელი წარმოების აღორძინების შემდეგ ჯერი მიდგება ნავთობის მარაგების დაძებნა-აღდგენა-მოპოვებაზე, რადგანაც როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, საქართველოში ნედლი ნავთობის დიდი მარაგია. 1981-83 წ.წ. საქართველოში ნავთობის მოპოვება 3,3 მლნ ტონა იყო. 1995 წელს 38 მლნ, ხოლო 97 წელს 130,5 მლნ ტონას მიაღწია. შემდგომ დაიწყო მოპოვების კლება და ნაციონალების ხელში 2009 წელს 54 ათას ტონამდე დაეცა.

ყოფილ მთავრობაში ამბობდნენ, რომ საქართველოს ნავთობის მარაგი არა აქვს, რასაც გეოლოგია-მინეროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ზურაბ მგელაძე სრულ სიცრუეს უწოდებს და მეცნიერული კვლევების საფუძველზე ასკვნის, რომ ქვეყანაში 2.400 მლნ ტონის მარაგია. ნავთობშემცველია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც მეცნიერთათვის ჯერჯერობით უკვე 500-ზე მეტი ნავთობგამოვლინებაა ცნობილი.

თუ პროგნოზები გამართლდა, ყველაფერი ნორმალურად განვითარდა, საქართველო არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებს საწვავზე მისივე საბადოებიდან მოპოვებული ნავთობით, არამედ ექსპორტზეც გაიტანს მას.

ზაზა ბილიხოძე

◎ კონტრასტების ქვეყანა

ბანანი – მანდარინი

ასეთი ცა – უღრმესი სილურჯის, ასეთი ზღვა – ფირუზის ყველა ელფერით და ასეთი თოვლივით თეთრი, წვრილ-წვრილი ქვიშა – მე ჯერ არსად მინახავს. პეიზაჟის ნებისმიერი სურათი აქ გვეჩვენება დამთავრებულ ღია ბარათად, რომელიც თითქოს ფოტოშოპით არის დამუშავებული.

ის ტურისტები, რომლებიც მხოლოდ პლაჟზე წოლით ისაზღვრებიან, ბევრ რამეს კარგავენ. ყოვლად შეუდარებელი კმაყოფილებაა – მთებში გუანაიარის ეროვნულ პარკში გასვლა. ყველა ჩვენი სათუთად მოვლილი ქოთნის მცენარე აქ პრაქტიკულად, როგორც სარეველაა, – ან იზრდებიან შენს ფეხქვეშ, ან ჩამოკიდებულია ტოტებზე. ახლა რამდენი ბუჩქი-ყვავილია ირგვლივ, ადრე რომ არსად გინახავს!

შენს თავზე მწიფდებიან ბანანები, ქოქოსები, მანდარინი, ბუჩქებიდან გიმზერენ ყავის კენკრები. ყველა ხმაზე გალობენ ფრინველები. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ მზად არიან იმღერონ დილიდან საღამომდე. სხვათა შორის, როგორც ხალხმა...

ძარითით „იაგუარზე“

ჰავანაში, და მთელ კუბაშიც, კარგია მოგზაურობა ამერიკული ავტომობილებით, რომლებიც აქ დარჩა გასული საუკუნის შუა პერიოდიდან. აქ თქვენ მცირე ოდენობის ფულით შეგიძლიათ გაიგრიალოთ რარიტეტულ „იაგუარებზე“ და „კრაისლერებზე“, რომლებიც ადგილობრივ ხელოსნებს ასჯერ მაინც გადაუკეთებიათ-გადმოუკეთებიათ. სამაგიეროდ, რა სილამაზეა! შეიძლება ავტო დაიქირავო ინგლისურად ან რუსულადაც კი მოლაპარაკე მძღოლისგან. ბევრ კუბელს ახსოვს რუსული ენა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის დროიდან. ახალგაზრდობა კი, რომელიც სულ უფრო აქტიურად ერთვება ტურისტულ ბიზნესში, სიამოვნებით სწავლობს ამ ენას.

მედიცინა – ძვეყნის სიამაყე

გასული საუკუნის შუა პერიოდში, რევოლუციის წინ, კუბაში კვალიფიციურ ექიმთა რიცხვი ექვსი ათასს აღწევდა, ესე იგი თითო ექიმი ათას კაცზე. მკურნალობა იყო ფასიანი და ძვირიც, რაც ფაქტობრივად, ღარიბ ხალხს ართმევდა მკურნალობის საშუალებას. ამით აიხსნებოდა, კერძოდ, ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი დონე – იმ წლებში ასი კაცი ათასზე.

რევოლუციის შემდეგ უმალვე კუბელ ექიმთა დაახლოებით ნახევარი გაემგზავრა ქვეყნიდან, მაგრამ, თავად კუბელთა სიტყვებით, ახალმა ხელისუფლებამ საკმაოდ სწრაფად შეძლო სიტუაციის შეცვლა, ყურადღება გაამახვილა სოციალურ სექტორსა და ჯანმრთელობის დაცვაზე. ამჟამად დარგში 350 ათასი კაცი მუშაობს (11 მილიონ მოსახლეობაზე).

ჯანმრთელობის დაცვის კუბური სისტემის მამად ჩე გევარა ითვლება – სწორედ მან, პროფესიონალურმა ექიმმა, ჩაუყარა საფუძველი დარგს. შემთხვევითი როდია, რომ სანტა-კლარას ჩეს ეგრეთ წოდებულ მავზოლეუმში სხვა ექსპონატებს შორის არის მისი დიპლომი, თეთრი ხალათი, სამედიცინო ინსტრუმენტების ნაკრები... ჩე აქ დღემდე „ყველა ცოცხალზე ცოცხალია“, კუბელებს ის ჭეშმარიტად უყვართ და პრაქტიკულად აღმერთებენ მას.

დღეს კუბური მედიცინა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. ლათინური ამერიკის პრაქტიკულად ყველაზე ღარიბ ქვეყანას კუბას დღეს აქვს ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 7 ადამიანი ათასზე (შედარებისთვის, რუსეთში, მაგალითად, ეს მაჩვენებელი არის 18). უფრო მეტიც, ევროპელი საზომით ღარიბი ქვეყანა ყოველწლიურად ღებულობს და წარმატებით კურნავს ათასობით პატარა პაციენტს მთელი მსოფლიოდან, თანაც უმეტეს შემთხვევაში მკურნალობა ხორციელდება უფასოდ. საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ ხვდებოდნენ აქ ბავშვებს ჩერნობილიდან...

კუბელმა მეცნიერებმა მსოფლიო აღიარებას მიაღწიეს მედიცინის ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა ორთოპედია, მენინგიტების, B ჰეპატიტის, მკერდის კიბოს, პარკინსონის და მთელი რიგი სხვა მძიმე დაავადებების მკურნალობა.

კუბის ყველა საავადმყოფო, განსაკუთრებით ბავშვთა საავადმყოფოები, აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. ეს ფენომენი იხსნება მარტივად: კუბის მთელი სავალუტო ამონაგების ზუსტად ნახევარი იხარჯება ჯანმრთელობის საჭიროებისთვის.

სასწაულებრივი წამლები

კუბაში გვიამბობდნენ მხოლოდ აქ წარმოებულ არაჩვეულებრივ სამკურნალო პრეპარატზე, რომელიც აუმჯობესებს ონკოლოგიურ ავადმყოფთა ცხოვრების ხარისხს. ადგილობრივი მედიკოსების სიტყვებით, ბევრი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც კიბოთი დაავადებულები წინწაწეულ სტადიაში მისი დახმარებით მიდიოდნენ გამოჯანმრთელებისკენ. თუმცა, კუბელი ექიმები გვაფრთხილებენ: ამან არ უნდა მოგვცეს ყალბი იმედები და არ უნდა მიგვიყვანოს ტრადიციული თერაპიის დაუფასებლობამდე. პრეპარატს აწარმოებენ ცისფერი მორიელის შხამისგან, რისთვისაც ქვეყნის ჭაობიან ადგილებში შექმნილია სპეციალური მორიელის ფერმები.

არანაკლებ ცნობილია პრეპარატიც, რომელსაც დიაბეტური ტერფის სინდრომის სამკურნალოდ იყენებენ.

ძალა – ცოდნაშია

კუბური მედიცინის წარმატების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია – უფასო უმაღლესი განათლება. ქვეყნის 15-სავე შტატში არის კერძო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სტუდენტებს ასწავლიან 5 წლის განმავლობაში, სამედიცინო და უცხო ენების ინსტიტუტებში – 6 წელი. ამის შემდეგ ისინი ვალდებული არიან იმუშაონ განაწილებით: ქალიშვილებმა – 3 წელი, ჭაბუკებმა – 2 წელი, ვინაიდან ეს უკანასკნელები უკვე მსახურობდნენ არმიაში (სამხედრო სამსახური სკოლასა და უნივერსიტეტს შორის სავალდებულოა).

„როდესაც 1959 წელს გაიმარჯვა რევოლუციამ, მოსახლეობის 60 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახლა კი იმისთვის, რომ მოეწყო თუნდაც დამლაგებლად, 12 კლასი უნდა დაამთავრო“, – ამბობენ უბრალო კუბელები.

ვცხოვრობთ კარგად!

ზამთარი აქ „მშრალ“ სეზონად ითვლება, ზაფხულში ტენიანობა 86 პროცენტს აღწევს, და ყოველივე ირგვლივ „დიდ საუნად“ იქცევა. ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვებით, ამ დროს ყველა მაღაზიებისკენ მიისწრაფის: არა იმიტომ, რომ რაიმე ივიდონ, არამედ, იმიტომ, რომ დადგნენ კონდიციონერების ქვეშ!

კუბელები საერთოდ იუმორით უყურებენ სიძნელეებს. მრავალი წლის განმავლობაში აბსოლუტურ დისციპლინას მიჩვეულები მშვიდად აღიქვამენ განმანაწილებელ სატალონო სისტემას, საცხოვრებელ ბინებთან და ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამ ნაკლოვანებებს უპირისპირებენ სერიოზული სოციალური გარანტიების არსებობას. მაგრამ ცვლილებებსაც, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, აღფრთოვანებით ღებულობენ. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ქვეყანაში ნება დართეს შეისყიდონ და გაყიდონ სახლები, მანქანები, თუმცა – მხოლოდ ქვეყნის შიგნით.

რაც ყველაზე საინტერესოა: კუბაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 78 წელია!

შეკითხვაზე, რაში ხედავენ თავად ისინი სიცოცხლის ასეთი ხანგრძლივობის საიდუმლოებას, კუბელები უპასუხებენ: „ჩვენ ხომ კარგად ვცხოვრობთ! ჩვენ არ გვაქვს სტრესები. ჩვენ ვჭამთ ჯანსაღ საკვებს და ვსუნთქავთ შესანიშნავი ჰაერით. ჩვენ გვიყვარს მუსიკა, მხიარულობა, სიცოცხლე, მზად ვართ ვიმეგობროთ ყველასთან!“

და ეს მართლაც ასეა.

ალიონა ჟუკოვა

კუბა – გვერდითაა!

როგორ ეხამეგა ღარიბი ყოფა კუნძულზე შესანიშნავ მედიცინას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მეგობარს, გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს, ცნობილ მწერალსა და მთარგმნელს გურამ გოგიაშვილს მეუღლის

ლილი

მალაციძე-გოგიაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს საისტორიო საზოგადოება და საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ისტორიკოსი

გიორგი (გოგი) დემეტრაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ნათესავებს.

თამაზ იმედაძე ოჯახით თანაუგრძნობს მეგობარს ვლადიმერ გვარჯალაძეს შვილის

გია გვარჯალაძის

გარდაცვალების გამო.

გიორგი, თემურ, დათო ხაზარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, უახლოესი მეგობრის ვოვა გვარჯალაძის შვილის, ღირსეული ახალგაზრდის

გია გვარჯალაძის

უდროოდ გარდაცვალებას და ღრმა სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

იოსებ ველიჯანაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პედიატრიის ინსტიტუტი, ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი იუწყებიან აფთიაქის გამგის მამია მდინარაძის დედის

დალილა მდინარაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი კარაბადინი

პირველები იაპონელები არიან

გამოძვეყნდა ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც 2010 წელს სხვადასხვა ქვეყანაში დაავადებათა გამოკვლევას ემყარება. მოქალაქეთა სიცოცხლის ხარისხისა და ხანგრძლივობის მიხედვით ლიდერობს იაპონია. მეორე ადგილზე არიან მამაკაცები სინგაპურიდან, მესამეზე — ძლიერი სქესი შვეიცარიიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალებმა სამხრეთი კორეიდან, მამაკაცებისგან განსხვავებით, თავიანთ რეიტინგში იაპონელთა შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ ესპანელი ქალბატონები. მეოთხე და მეხუთე ადგილი უკავიათ სინგაპურისა და ტაივანის მცხოვრებ ქალებს. მათ შემდეგ არიან შვეიცარიელი, ანდორელი, იტალიელი, ავსტრალიელი და ფრანგი მანდილოსნები.

ამ დროს ევროპაში ყველაზე ჯანსაღ ერად მიჩნეულები არიან შვედები.

ბედის ამოცნობა

სიცოცხლის ხანგრძლივობა შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ სისხლის ანალიზით, თუ შევისწავლით სხეულზომის სიგრძეს, დაადგინეს მკვლევარებმა ისტ ინგლისის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტიდან. სხეულზომა — ეს არის ქრომოსომების დამაბოლოვებელი ნაწილაკები, რომელთა სიგრძე პირდაპირ არის დამოკიდებული სიჩქარეზე, საიდანაც იწყება ორგანიზმის დაბერების პროცესები.

სამუშაოთა ხელმძღვანელის სიტყვებით, სხეულზომის სიდიდე საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად დავადგინოთ ადამიანის ბიოლოგიური ასაკიც და მისი სიცოცხლის დარჩენილი პერიოდიც (თუ სიკვდილი ბუნებრივი პირობებით მოხდება, რასაკვირველია). ამას ადასტურებენ ექსპერიმენტები ფრინველების მონაწილეობით: სისხლის ანალიზის დახმარებით მათ ერთ წლამდე სიზუსტით იწინასწარმეტყველეს მათი სიკვდილის თარიღი.

მარილმა რომ ტკივილი არ მოგვიტანოს

მარილს ხშირად „თეთრ სიკვდილს“ უწოდებენ. სინამდვილეში ის ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესია. მაგრამ — მხოლოდ განსაზღვრული ოდენობით.

რამდენია საჭირო გრამებში?

მარილის სადღეღამისო ნორმა — დაახლოებით 15 გრამია, თანაც ამ ოდენობაში შედის ქლორის ნატრიუმი, რომელსაც შეიცავენ პროდუქტები: ხორცი და თევზი, პური და ბოსტნეული, ხაჭო და ბურღულეული. დაიანგარიშეს, რომ კერძებში, რომლებიც ადამიანის საშუალო სადღეღამისო რაციონს შეადგენენ, შედის მარილის დაახლოებით 10 გრამი. მაშასადამე, დამარილებისთვის რჩება 5 გრამი, ესე იგი ჩაის კოვზის ნახევარი.

მარილი, რასაც ჩვენ ვღებულობთ საკვებთან ერთად, შედის ორგანიზმში სისხლის შემადგენლობის შენარჩუნებისთვის, უჯრედებში წნევისა და უჯრედთაშორისი სითხისთვის, წყალ-მარილის ცვლისთვის. ამ თვალსაზრისით მარილი — სასიკეთოა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მას უმატებს კერძებში იმ ოდენობით, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს ორგანიზმის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში მარილი დიდ ზიანს აყენებს ორგანიზმს, და მით უმეტეს ავადმყოფ ადამიანს.

რაშია საფრთხე?

ცნობილია, რომ ნატრიუმის სიჭარბე ხელს უწყობს სითხის შეჩერებას ორგანიზმში. შედეგად იზრდება ცირკულირებული სისხლის მოცულობა. ეს უკიდურესად სახიფათოა ადამიანებისთვის, ვისაც აწუხებს გულის იშემიური დაავადება, ვინც გადაიტანა მიოკარდიუმის ინფარქტი. არანაკლებ რისკს ეწევიან ისინიც, ვინც იტანჯება ჰიპერტონული დაავადებებით. ნატრიუმი აძლიერებს სისხლძარღვთა სპაზმებს, რის გამოც არტერიული წნევა მნიშვნელოვნად იზრდება.

მარილი დიდი ოდენობით საწინააღმდეგო მაჩვენებელია სხვადასხვა ანთებითი პროცესების, სიმსუქნის, გლაუკომის, ცენტრალური ნერვული სისტემის, თირკმელების, კანის და სხვა დაავადებათა დროს.

როგორ ჩავრთოთ რაციონში?

ჯანმრთელიც რომ იყოთ, ნუ მიირთმევთ ბევრ მარილიან კერძს. ხოლო თუ ავად ხართ და ექიმმა დაგინიშნათ დიეტა მარილის შემცირებული ოდენობით, მკაცრად დაიცავით ეს მითითება.

მოამზადეთ საკვები უმარილოდ და მხოლოდ მსუბუქად დაამარილეთ მზა კერძები.

მთლიანად გამორიცხეთ ყველა მარილიანი საუზმე. დამწნილებული კომბოსტო მიირთვით გარეცხილი, ამ დროს მისგან გამოიდევნება ჭარბი მარილი.

საჭმელი რომ უმარილო არ მოგვეჩვენოს, დაუმატეთ მას კამა, ოხრახუში, მჟავე მურაბა. მაგალითად, მოხარშული ოდნავ მარილიანი თევზი შეიძლება „გავალამაზოთ“ ლიმნის წვენით, ხორცი კი — წითელი მოცვის მჟავე მურაბით. ეს უსათუოდ მოგეწონებათ, და რაც მთავარია, გაგიუმჯობესდებათ განწყობილება.

ჟამი სიყვარულისა

განაყოფიერების უმრავლესობა ბრიტანეთში ხდება დეკემბერში, ამბობს სტატისტიკა. მის თანახმად, ბრიტანეთის სამშობიარო სახლები ყველაზე მეტ მშობიარეებს ღებულობენ სექტემბერში — ესე იგი ჩასახვიდან 40 კვირის შემდეგ. ყველაზე ფერტილური (ნაყოფიერი — რედ.) დღე, როგორც გამოირკვა, 11 დეკემბერი იყო: სტატისტიკის მონაცემებს თუ ვენდობით, 16 სექტემბერს იბადება ჩვილთა 9 პროცენტი დიდ ბრიტანეთში.

სპეციალისტები ამ კანონზომიერებას სამი ფაქტორით განმარტავენ: ჯერ ერთი, სპერმის ხარისხით, რომელიც იზრდება წლის ცივ დროს, მეორეც, ორივე მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობით (დეკემბრისთვის ჩვენი სხეული ვერ ასწრებს ამოწურის ვიტამინების მთელი მარაგი, რომელიც გროვდება ზაფხულსა და შემოდგომაზე). მესამეც, დეკემბერში იწყება დღესასწაულები, ესე იგი ადამიანებს აქვთ განწყობილება სასიამოვნო დროსტარებისთვის, მათ შორის სექსისთვისაც.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყაფილი ყანონიერებისაკენ

სკანდალური ინტერვიუ

„ქრონიკა“ იწყებს სკანდალური ინტერვიუს გამოქვეყნებას, რომელიც დაახლოებით სამი თვის წინათ არის ჩაწერილი, მაგრამ რესპონდენტის თხოვნის გათვალისწინებით, გამოქვეყნება გადაიდო. ამის მიზეზი იყო პატიმარი და შემდეგ პოლიტპატიმრად აღიარებული ტრისტან წითელაშვილი, რომელთანაც ახლობლობის გამო იქნა დაკავებული ჩვენი რესპონდენტი, სამხედრო პირი ზაზა გურგენიძე. მიზეზად მას ქრთამის აღების მცდელობა წაუყენეს. ზაზა გურგენიძემ სასჯელის გარკვეული პერიოდი ე. წ. წითელ ზონაში გაატარა. ეს ინტერვიუ ასახავს „წითელ ზონაში“ მიმდინარე პროცესებს.

„ქრონიკა“

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ქართულ ოცნებაში“ ბევრს აწყობს სააკაშვილის პრეზიდენტობა!“

— აცხადებს პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი, — რეალურად არსებობს იმის საფრთხე, რომ 2013 წლის ოქტომბერში საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები მერაბიშვილმა და მისმა მინისტრთა კაბინეტმა ჩაატაროს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ქართულ ოცნებაში“ ბევრს აწყობს სააკაშვილის პრეზიდენტობა, რათა მერე თავი იმართლონ — კარგი წინასაარჩევნო პროგრამა გვქონდა, მაგრამ დაპირებები იმიტომ ვერ შევასრულეთ, რომ სააკაშვილი გვიშლიდა ხელსო. არ მესმის საქართველოს ახალი პარლამენტი, რომელსაც შეუძლია სააკაშვილის დეფაქტო პრეზიდენტობის დასრულება, რატომ არ აკეთებს ამას და რატომ იღებს პასუხისმგებლობას იმ მძიმე შედეგებზე, რაც შეიძლება სააკაშვილმა მოუტანოს ქვეყანას?!

„ასავალ-დასავალი“

„ივანიშვილი ცდილობს, კონსტიტუცია თავის თავზე მოირგოს“

— მიაჩნია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას, — ახალი ხელისუფლების მმართველობის ოთხი თვის მანძილზე უკვე სამი კონსტიტუციური შესწორებაა ინიცირებული. უნდა ითქვას, რომ ეს ყველა რეკორდს ამსხვრევს. მიმაჩნია, რომ ახალი ხელისუფლება აშენებს არა დემოკრატიას, არამედ ეს არის რაღაც მარიონეტულ-ავტორიტარულ-კორუფციული რეჟიმი, რომელიც, გარწმუნებთ, დიდხანს ვერ გაძლებს, თუ ამ გზაზე გააგრძელა სიარული.

„ახალი თაობა“

როგორ მოვიპაროთ 112 მილიონი?

„საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი კოკა გუნცაძე ირწმუნება, რომ 112 მილიონის „მოხსნის“ თაღლითური გეგმა გამოააშკარავა. მისი მტკიცებით, მოხსნილი მილიონები ყოფილ მაღალი თანამდებობის პირებს შორის ნაწილდებოდა. მათ უკან კი კეზერაშვილი და მერაბიშვილი იდგნენ, თუმცა ზურაბ ადეიშვილის გარეშე ეს არ მოხდებოდა.

„ქვირის პალიტრა“

9 რეგიონში 5 გუბერნატორი 5 თვეში შეიცვალა

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტმა გუბერნატორებთან მიმართებაში 6 საკადრო ცვლილება განახორციელა. შეიცვალა იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და ორჯერ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორები. ამ ხშირი ცვლილებებით პრეზიდენტი ცდილობს, საზოგადოებას დაანახოს, რომ ახალი სისხლით მუშაობენ და ე. წ. უმწიკვლო რეპუტაციის პოლიტიკოსები წამოსწიოს წინ, თუმცა, იმიტომ, რომ გუბერნატორების მუშაობის არანაირი მონიტორინგი არ არსებობს და თითქმის არავინ აშუქებს მათ მუშაობას, ჩნდება ეჭვი, რომ მათ რაიმე სხვა ტიპის წარმომადგენლობითი მნიშვნელობა აქვთ.

„რეზონანსი“

◎ ანეკდოტები

მიხო და მარო დაიჭირეს. მიხო ხეზე მიაბეს და მაროს ეუბნებიან:

— უნდა გაგაუპატიუროთ.

— რა ვქნა მიხო, დავნებდე?

— მა, მე ახლა ამ მუხის მამგლეჯი ვარ?!

* * *

მიხოს თავისი შვილი ეკითხება:

— მამი, მამი, გველები როგორ ლაპარაკობენ?

მიხომ ცოლს გადახედა:

— დედაკაცო, ხმა ამაიღე, ბალღს აინტერესებს!

* * *

კახეთში სათამაშოების მაღაზიაში გასაყიდად გამოტანილ სათამაშო ზებრას ეწერა: „მეზღვაური ვირი“.

მარო გვიან დაბრუნდა შინ. მიხომ გაბრაზებით ჰკითხა:

— ამბავი მამიტანეს, მარო, შალიკომ ტყეში შეიტყუა და ისიც გაპყვაო, მართალია?

— უიმეეე, რა უნამუსო და ჭორიანია ზოგი ადამიანი, სად არი, ქა, იქა ტყე?! ერთი გაქუცული, ტოტებდალეწილი მუხა დგას!

* * *

ავტობუსი გაჭედილია. კარგად ჩასუქებულმა ქალმა უკვე მესამედ დაადგა ფეხზე ფეხი გამხდარ კაცს.

— მოეჭიდეთ რამეს ბოლოს და ბოლოს, ქალბატონო! — მოთმინებიდან გამოვიდა კაცი.

— გაქვს რამე მაგნაირი? — შეუღრინა ქალმა.

* * *

სპილომ დაინახა შიშველი კაცი და შეეცოდა: ამით საჭმელს როგორ წვდებაო?!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com